ეროვნული ბიბლიოთეკა

645
1991

# საქართველოს ქალი



6 • 1991

ISSN 0821-1509


**რა გვიჯდება საკუთარი შვილი?**

გვ. 11

**ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია**

გვ. 10

**ეჰ, მეტი რა გითხრათ...**

გვ. 8

**„სექსუალური მოდა"**

ჰოლანდიელი ჟურნალისტი — სპეციალურად „საქართველოს ქალისთვის"

გვ. 12

**ქალი — მუზა**

გვ. 4

**ჯენტლმენების სკოლა**

გვ. 16

**და მაინც მოლოდინი...**

გვ. 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ლია ანდღულაძე,
ნაზი თარგამაძე,
მაია თომაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
ნანა ოზოლაძე,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — მაგული ბორდელაძე; მეოთხეზე — დათო ფაილოძე შვილებთან.
დავით იაკობაშვილის ფოტოები

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. მ. კოსტავას ქ. 14

# ანონსი

## ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში წაიკითხეთ:

**ჯანსუღ ღვინჯილია: ღვთისმშობლის წილხვედრილობა**

ავტორი ხსნის იმ ღვთაებრივ საიდუმლოს, რომელიც ქართველებისათვის განუსაზღვრელია და განსაკუთრებულია.

ამ წილხვედრილობის მადლი დაეუფლა ქართულ სულიერებას, გენეტიკას. მან ქალის ფენომენში მოახდინა თვისებრივი ცვლილება.

**ლაშა კიკალეიშვილი: პატარა პიროვნების ტრაგედია**

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქიკისათვის განქორწინების ფაქტი მეცნიერებმა მშობლის სიკვდილის ტოლფასად მიიჩნიეს.

**ნარგიზა მგელაძე: ჩემი ამერიკელი შვილიშვილები**

ჩემმა ქალიშვილმა ისე გააჩინა ტყუპი გოგონა ამერიკის სამშობიაროში, ერთხელაც არ დაუკვნესია, — ამბობს ავტორთან ინტერვიუში რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლია ქავთარაძე.

**მარინე ნაკაიძე: ოჯახი მარტო სიყვარული როდია**

ოჯახური სიმყუდროვე, სამწუხაროდ, მატერიალურ კეთილდღეობაზეც ყოფილა დამოკიდებული. როგორ შევინარჩუნოთ გაჭირვებისას ურთიერთპატივისცემა და სიყვარული.

**ღამის პერანგი მერილინ მონროსათვის**

ერთადერთი ღამის პერანგი, რომელსაც განთქმული მერილინ მონრო იყენებდა, ყოფილა.,.

**და სხვა საინტერესო მასალებს გთავაზობთ ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში.**

## ვისი სული გსურთ?

ალბათ ბავშვობაში თუ არ გითამაშიათ, გაგიგიათ მაინც ასეთი თამაში. გადავწყვიტეთ შემოგთავაზოთ ახალი რუბრიკა „ვისი სული გსურთ"? ცხადია, ეს შეკითხვა ასე უნდა გავიგოთ: ვის სულში ჩახედვა, ვისი გაცნობა გნებავთ?

მოგვწერეთ, რედაქცია უსათუოდ გაითვალისწინებს თქვენს სურვილებს. რუბრიკის პრემიერად კი გთავაზობთ შეხვედრას ქალბატონ მაგული გორდელაძესთან.

# ჩემს ერს უნდა მოვახმარო




— ქალბატონო მაგული, როცა ორი წლის წინ თქვენს შესახებ წერილი დავწერე (მაშინ იშვიათი გამონაკლისის გარდა ექსტრასენსზე და მსგავს ფენომენზე არ იწერებოდა, ყოველშემთხვევაში, ყველა რედაქტორი თავს იკავებდა ასეთი მასალის დაბეჭდვისაგან), მახსოვს, რა აჟიოტაჟი ატყდა.

თქვენ სახლთან მიახლოვება შეუძლებელი იყო. ხალხი საერთო რვეულებში სიებს ადგენდა. თქვენთან მოხვედრის მსურველთა რიცხვმა პირველივე დღეებში ხუთი ათასს გადააჭარბა. ჩემთან რედაქციაში განუწყვეტლივ რეკდა ტელეფონი და მიუხედავად იმისა, რომ მისამართს არავის ვეუბნებოდი, რის გამოც ბევრი ნაცნობი გამინაწყენდა, ხალხი მაინც აზერხებდა თქვენი სამყოფელის გაგებას. მოდიოდნენ კოოპერატორები, რომლებიც უზარმაზარ გასამრჯელოს გპირდებოდნენ, ოღონდ მათთან მუშაობა დაგეწყოთ. თქვენ უარს ეუბნებოდით. მახსოვს, თქვენი შეშინებული, ცრემლჩამდგარი თვალები, რომელშიც არ ვიცი, მე მერჩვენებოდა, თუ მართლა ასე იყო, სავედრურნარევი კითხვა იდგა: რატომ ჩამაგდეთ ამ მდგომარეობაში. ახლა რა უნდა ვქნაო? მე არანაკლებ შეშფოთებული და შეწუხებული ვიყავი, სანამ სამომავლოდ მოქმედების ოპტიმალური გეგმა არ დავსახეთ...

დღეს კი რას ვხედავთ. დღე არ გავა, გაზეთში ან ტელევიზორში არ გამოცხადდეს: ვარ უძლიერესი ბიოველის მქონე ექსტრასენსი, ვარჩენ ამა და ამ ავადმყოფობას და ა. შ. და ა. შ. ხალხი ამ განცხადებებს მშვიდად ხვდება. რას იტყოდით ყოველივე ამაზე?

— იმ პირველი დღეების გახსენება, მართლა არ არის ადვილი. ხალხიც მეცოდებოდა, ჩემი თავიც. მთელი დღე, წუთითაც რომ არ შემესვენა და შინ ამდენი ხალხის მიღებისათვის პირობებიც მქონოდა, 25-30 კაცზე მეტს ხომ მაინც ვერ მივიღებდი? სია კი ხუთი ათასს გადაცდა. შინ გაძლება შეუძლებელი გახდა, ამიტომ საცხოვრებლად სხვაგან გადავედი, თან სულ ვფიქრობდი, როგორ მოვქცეულიყავი, რომ არც ხალხი გამენაწყენებინა და რაღაც ელემენტარული რეჟიმიც დამეცვა. თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოვისუნთქე, როცა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ რეკომენდაცია მომცა სტაციონარში — ქალაქის № 1 საავადმყოფოში მემუშავა. მართალია, იქაც მსურველი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მიღება შემეძლო, მაგრამ პროცესი უფრო რეგულირებადი გახდა. ექიმები თვითონ არჩევდნენ სტაციონარის რომელი ავადმყოფი მოეყვანათ ჩემთან. იმ პერიოდს დაემთხვა ჩვენი ავადსახსენებელი 9 აპრილი და მოწამლულებთან ვიმუშავე. მახარებდა, რომ შედეგი კარგი იყო.

გარკვეული ხნის მუშაობის შემდეგ გადავწყვიტე, ყველაზე კარგი იქნებოდა, თუ ავადმყოფ ბავშვებთან ვიმუშავებდი. ბავშვები ძალიან მიყვარს, თვითონაც ორი შვილის დედა ვარ, განათლებითაც პედაგოგი გახლავართ, კარგად მაქვს შესწავლილი მოზარდის ფსიქოლოგია, ანატომია და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვის აქვს ზნეობრივი უფლება ბავშვს უჭირდეს და პირველ რიგში ჰას არ მივეშველოთ? მერე კიდევ დაკვირვებული ვარ: მოზარდი არაჩვეულებრივად სწრაფად და კარგად ექვემდებარება ჩემი მეთოდით მკურნალობას.

ამიტომ, კვლავ ჯანმრთელობის სამინისტროსთან შეთანხმებით, მუშაობა განვაგრძე ქალაქის № 1 ბავშვთა საავადმყოფოში. ახ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

ლაც იქ ვარ და მე მგონი, ზუსტად ვიპოვე ჩემი ადგილი. იცით რატომ? ბავშვი რომ კარგად ხდება, მისი დედ-მამა, ბაბუა-ბებია მიმტკიცებენ ჩვენც განვიკურნეთო.

რაც შეეხება ექსტრასენსების მომრავლებას, არც ეს არის გასაკვირი. თავიდან ჯერ რომ არ გამოჩენილიყო, შესაძლოა ეს ფენომენი კარგახანს აღმოუჩენელი დარჩენილიყო. როცა პრეცედენტი უკვე არსებობს, ადამიანი უფრო აკვირდება თავის უნარს, აანალიზებს, ცდის და თუკი შედეგიც გვარიანია, მერე თვითონ პიროვნებაზეა დამოკიდებული სად, როდის და როგორ გამოიყენებს თავის უნარს.

**— ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ ბევრისგან გამიგია უკმაყოფილება: მავანმა ექსტრასენსმა არაფერი მიშველა, ფული კი გამომართვაო.**

**— რა გითხრათ, ზნეობრივი და უზნეო ადამიანების შეფარდება ექსტრასენსებს შორისაც ალბათ ისეთივეა, როგორც ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანებს შორის.**

**— თუ შეიძლება მოკლედ გააცნოთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ბავშვებში თქვენი მუშაობის შედეგები. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი მაგალითები.**

**ამას წინათ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება „ბიორეზონანსმა“ მოაწყო კონფერენცია თემაზე „ბიოველის პრობლემების შესწავლის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“, რომელზეც თქვენ მოხსენებით გამოხვედით. რითი იყო საინტერესო ეს თავყრილობა?**

— ეს იყო ყოვლად აუცილებელი ღონისძიება, რომელიც აქამდეც უნდა ჩატარებულიყო. ნუთუ ამდენმა არაორდინარულად მოაზროვნე, იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულმა ადამიანმა არ უნდა გაუზიაროს ერთმანეთს და საზოგადოებას თავისი დაკვირვებები, მკურნალობის მეთოდი და შედეგები, არ უნდა იზრუნოს თავი მოუყაროს ყოველივეს, რაც გაკეთდა. ეს ხომ თავისებური ეროვნული საუნდოვრეა?!

ვინ იცის, იქნებ ჩვენი მიწა განსაკუთრებით მდიდარია ტალანტებით, რომლებსაც სპეციალური ზრუნვა, დაკვალიანება და უფრო ფართოდ გამოყენება უნდა.

**— ასეთ ჰიპოთეზას, ჩემი აზრით, აქვს არსებობის უფლება და იგი უთუოდ გასათვალისწინებელია. ვფიქრობ, თავისუფლების პირობებში საქართველოში მრავალგვარი ტალანტი აღმოცენდება და გაიფურჩქნება.**

**ახლა ორიოდე სიტყვით მკურნალობის თქვენეულ მეთოდზეც უამბეთ ჩვენს მკითხველებს.**

— პირველივე მიღებაზე ავადმყოფს თავიდან ბოლომდე ვსინჯავ. ვმუშაობ მარჯვენა ხელით. ხელის გულზე ვღებულობ სიგნალს დაავადებული ორგანოდან. ყველა დაავადებას მხოლოდ თავისთვის დამახასიათებელი იმპულსი აქვს. პათოლოგიის კერის დადგენის შემდეგ ვიწყებ საკუთარი მეთოდით მკურნალობას. მკურნალობაში აუცილებლად ვრთავ ჩემს მიერვე დამუხტული წყლის კომპრესებს. კომპრესი თითქოს ქაჩავს ორგანიზმიდან ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობებს, იწვევს დროებით გამონაყარს, რაც მალე ქრება და ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად უმჯობესდება.

**— კონფერენციაზე გამოსვლისას მოიტანეთ თქვენი მუშაობის ერთი წლის სტატისტიკური მონაცემები, რაც საკმაოდ შთამბეჭდავია. ბავშვებში ასთმის განკურნების 16 შემთხვევა, ანურეზის — 14, ქრონიკული ნეიროდერმიტის — 8, ქრონიკული ქოლეცისტიტის — 15, სმენის დაქვეითების — 6, კისერმრუდობის — 9, სპასტიკური დიპლეგიის — 8, სქოლიოზის — 11, მეტყველების დარღვევის — 10, სიელმის — 11, ზრდაში ჩამორჩენის — 2 და სხვაც ბევრი საყურადღებო შემთხვევა.**

**ალბათ გაქვთ საყურადღებო დაკვირვება, მოულოდნელი დასკვნები.**

— დიახ, მაგალითად ბავშვებს, რომლებიც შემოდიან სიელმის დიაგნოზით, ყველა შემთხვევაში დავუდგინე ნაღვლის ბუშტის ფუნქციის დარღვევა.

ექოსკოპირებამ თითქმის ყველა შემთხვევაში დაადასტურა ჩემი დიაგნოზი. ყველა ბავშვს, რომელსაც მარჯვენა თვალის სიელმე ჰქონდა, აღმოაჩნდა ნაღვლის ბუშტის ყელის გადახრა. შეგუბებითი მოვლენები ნაღვლის ბუშტში. ე. ი. ნაღვლის ბუშტის გადახრა იწვევს თვალის პათოლოგიას, კერძოდ სიელმეს. თვალთან ერთად ვუმკურნალე ნაღვლის ბუშტს. თვალი გასწორდა.

ენურეზიან ბავშვებში ხშირად გვხვდება მარცხენა თვალის პათოლოგია, უნებლიე ხამხამი, ცრემლის დენა, ქავილი.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩენად მიმაჩნია, რომ ზრდაში ჩამორჩენას ბავშვებში იწვევს სპილენძის ნაკლებობა. მაგრამ პრობლემა ის გახლავთ, რომ საქართველოში თითქმის არ კეთდება ამგვარი ანალიზი — მიკროელემენტების განსაზღვრა. არ არის აპარატურა და საჭირო ტექნიკა. ეს საქმე უნდა მოგვარდეს. ყველაფერში შეიძლება გავაკეთოთ ეკონომია, მხოლოდ არა იმაში, რაც ბავშვების ჯანმრთელობისათვის არის საჭირო.

**— თქვენ უცხოეთში გიმუშავიათ. როგორია ამ მხრივ პერსპექტივა?**

— ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო არ იყოს უცხოეთში აღიარება. ამას წინათ ტელევიზიით აჩვენეს ის იუგოსლავიური ჟურნალები, რომლებშიც ჩემს შესახებ წერილებია დაბეჭდილი. ერთი ჩემთან ინტერვიუ, რომლის სათაურში გამოტანილია ჩემ მიერ მიხეილ ტალის განკურნების ფაქტი, მეორე კი თქვენი წერილია, რომელიც თავის დროზე „თბილისში“ დაიბეჭდა, შემდეგ კი ჟურნალმა „ტაიმმა“ თარგმნა და საინტერესოდ მიიჩნია.

ასეთი გასვლები თუმცა აუცილებელია, მაგრამ ძირითადად კი მთელი ჩემი ძალა და უნარი, რაც კი მამაზეციერს ჩემთვის მოუცია, ჩემს ერს უნდა მოვახმარო.

**— კეთილშობილი სურვილია, გისურვებთ წარმატებებს.**

ესაუბრა **ნარგიზა მგელაძე**

**რამდენიმე** წლის წინათ ყალბი სიამაყით წარმოვთქვამდით, რომ ჩვენს ქვეყანაში ქალი მამაკაცის მხარდამხარ თავდაუზოგავად მუშაობდა საკოლმეურნეო ველ-მინდვრებსა თუ ფაბრიკა-ქარხნებში. მომრავლდა ქალი-ტრაქტორისტი, ქალი-მშენებელი, ქალი-მძღოლი...

რესპუბლიკის მრეწველობაში ათი ათასობით ქალი მუშაობს ისეთ ადგილას, სადაც არავინ ზრუნავს შრომის უსაფრთხოებასა და ქალთათვის ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნაზე.

როგორც ჩანს, ეს არის ემანსიპაციის ჩვენეული ვარიანტი.

მამაკაცთან ამგვარმა გათანაბრებამ სინამდვილეში დაჩაგრა ქალი. მას სულ უფრო ცოტა დრო რჩება ოჯახისათვის, შვილებისათვის, საკუთარი თავისათვის.

მართალია, საქართველოში უკვე ბევრია თანამედროვე, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საწარმო, სადაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მუშაობის პირობები და მკვეთრად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, მაგრამ ძირითადად მსუბუქი მრეწველობის ფაბრიკებს „ეშველა“. ვინც ერთხელ მაინც ყოფილა ფოლად-თუჯსასხმელ ქარხანა „ცენტროლიტში“, დამეთანხმება, რომ ჩვენს ქვეყანაში მძიმე მრეწველობა განსაკუთრებით მძიმეა მისი თანამშრომელი ქალებისათვის

## ე ქ,

და ალბათ, ბევრი წყალი ჩაივლის, სანამ იქ შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა გამოსწორდება. თავად განსაჯეთ, ბოლო სამი წლის მანძილზე ათას ხუთასიანი კოლექტივი თითქმის განახევრდა. მუშათა უმრავლესობა, როგორც ქარხანაში ამბობენ, ძველი ხალხია. ახალგაზრდა იშვიათად თუ მივა და ისიც მალე ტოვებს საწარმოს, რადგან ვერ უძლებს მუშაობის მკაცრ პირობებს. „ცენტროლიტში“ დაახლოებით ოთხასი ქალია, ასზე მეტი საამქროებში მიწის დამამზადებლად და ამწეს მძღოლად მუშაობს. (რატომღაც დამკვიდრებულია აზრი, რომ ამწეზე მხოლოდ ქალებმა უნდა იმუშაონ). მართალია, ამბობენ, უცხო თვალი უფრო მეტს ამჩნევს და ხედავსო, მაგრამ მაინც ერთ-ერთ მათგანთან ვარჩიეთ გასაუბრება.

— „ცენტროლიტში“ ათი წლის წინათ დავიწყე მუშაობა ამწეს მძღოლად მესამე საყალიბო საამქროში, — თქვა ნათელა სუხიაშვილმა. — ბედს არ ვემდური. კარგი კოლექტივია, მეგობრული, ერთმანეთის გამტანი. სამუშაო არ არის ძალიან ძნელი, ანაზღაურებას



## მძიმე მრეწველობა განსაკუთრებით მძიმეა ქალებისათვის

არა უშავს. ჩემი ქმარიც აქ მუშაობს. გვყავს ორი ვაჟი... არც კი ვიცი, რა გითხრათ.

**— უფრო საზრუნავზე, მოუგვარებელ პრობლემებზე ვისაუბროთ.**

— საზრუნავს რა გამოულევს ადამიანს, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ, — თიანეთის რაიონის სოფელ სიმონიანთ-ხევში დავიბადე და გავიზარდე. იქაური ახალგაზრდები მოკწყალების მეტი არაფერი მინახავს. ამას ემატება გაუთავებელი ფიქრი იმაზე, შვილებს რა ვაჭამო, რა ჩავაცვა. ჩემთვის აბსოლუტურად გაურკვეველია, რა იქნება მომავალში. მე და ჩემი ქმარი იმისთვის ვწვალობთ, რომ ბიჭებმა მაინც გაიხარონ.

რვა წელი ნაქირავებში ვცხოვრობდით. ცოტა ხნის წინათ „ცენტროლიტის" მიკროხომ უნდა დარჩეს ქარხანაში... ძველი ხალხი ნელ-ნელა პენსიაში გადის, ახალი ცვლა კი ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

ეჰ, რა გითხრათ მეტი, ვერც კი ვგრძნობ, რომ ქალი ვარ. ჩემი ოცნებები დიდი ხანია გააფერმკრთალა ცხოვრების სუსხმა. თუ დროს გამოვნახავ, ბავშვებთან ერთად ქარხნის კლუბში მივდივარ კინოფილმის სანახავად.

# მეტი რა გითხრათ...

ლებულნი ვიყავით ყველაფერს. არც კინო, არც თეატრი. დასვენებას ვინ ამბობს. ფერმის გარდა არაფერი არ არის, სკოლადამთავრებულმა მუშაობა რომ დაიწყოს. მართალია, ადამიანმა თავის კუთხეს უნდა მიხედოს და მოუაროს, მაგრამ მაშინ ჩვიდმეტი წლის გოგონა სულ სხვაგვარად ვფიქრობდი. თანაც ყველას ერთნაირი ნებისყოფა და გამძლეობა ხომ არა აქვს? ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ცხოვრებაში იოლ გზას ვეძებდი და ამიტომ ჩამოვედი თბილისში. თუ ასეა, მობრძანდეს და ნახოს, როგორი სამუშაო პირობებია „ცენტროლიტში". ზამთარში საამქროები არ თბება, მინები ჩამტვრეულია, რომ არ გავიყინოთ, ცეცხლს ვანთებთ. ამას გარდა, საშინელი მტვერი, ხმაური, სპეციფიკური სუნი. არც ზაფხულში ვართ უკეთეს დღეში. დილის რვიდან საღამოს ხუთ საათამდე დაძაბული მუშაობა გვიწევს. სახლში მივალ და იქაც ყველაფერი ჩემი გასაკეთებელია. ბავშვებისათვის ძალიან ცოტა დრო მრჩება. მინდა სამი ან ოთხი შვილი მყავდეს, მაგრამ როგორ?.. ბავშვობის შემდეგ ცხოვრებაში საბჭოს შენობა გათავისუფლდა და რამდენიმე ოჯახი შევსახლდით. ჩვენ ორი პატარა ოთახი გვერგო. აბაზანა და სამზარეულო არ გვაქვს, ტუალეტი კი საერთოა. ერთი წელია, რაც ბინის აღრიცხვაზე აგვიყვანეს, მაგრამ რიგი როდის მოგვიწევს, ვინ იცის?

**— რა შემოსავალი გაქვთ?**

— მე საშუალოდ ორასი მანეთი მაქვს, ჩემს მეუღლეს კი — ოთხას მანეთამდე. ხანდახან მასალის უქონლობის გამო ქარხანა გაჩერებულია და ბუნებრივია, ხელფასსაც არ ვიღებთ. აი, მაშინ ძალიან გვიჭირს, დამხმარეც არავინა გვყავს.

— ბევრმა მიატოვა ქარხანა. ძირითადად კოოპერატივებში მიდიან, სადაც გაცილებით იოლია მუშაობა, ბევრად მაღალია ანაზღაურება. არც გაემტყუნებათ. ძალიან გაჭირდა ქალაქში ცხოვრება. მაღაზიები ცარიელია. ბაზარს ცეცხლი ეკიდება. მიუხედავად ამისა, წასვლას მაინც არ ვაპირებ. შევეჩვიე აქაურობას, ამ კოლექტივის ტკივილი უკვე ჩემი ტკივილია. მისი ჭირი და ლხინიც მე უნდა გავიზიარო. ბოლოს და ბოლოს, ვიღაც ეს არის და ეს ჩემი დასვენებაც და გართობაც. წუწუნი არ მიყვარს. ყველას თავისი სადარდებელი ეყოფა. ამიტომ ვიკავებდი თავს. რაც გიამბეთ „ცენტროლიტში" მომუშავე თითქმის ყველა ქალს აწუხებს. ჩათვალეთ, რომ კოლექტიური ტკივილია. საშველი კი ჯერ-ჯერობით არ ჩანს. უკვე რამდენიმე წელია საწარმოს მოგება არ ჰქონია. უსახსრობის გამო ქარხნის ტერიტორიაზე ყველა ობიექტის მშენებლობა შეჩერებულია. იმის საშუალებაც არა გვაქვს, წელიწადში ერთხელ ვისარგებლოთ დასასვენებელი სახლის საგზურებით, იმდენად მცირეა ლიმიტი. ნუთუ არ შეიძლება გამონაკლისი დაუშვან მათთვის, ვისაც განსაკუთრებით რთულ პირობებში უწევთ მუშაობა?

აი, გითხარით ჩემი სატკივარი. ალბათ, ჟურნალშიც დაბეჭდავთ, მაგრამ განა შეიცვლება რამე?

**...იმედი გვაქვს მძიმე მრეწველობის მესვეურნი უპასუხოდ არ დატოვებენ მუშა ქალის კითხვას და გულწრფელ აღსარებას.**

**მარინე წაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც გვინათებს თქვენი მშვენება

# ქალი-მუზა

**ქართველი** ქალის სილამაზე უღიდებიათ ძველ ბერძნებსა და რომაელებს, ალუნიშნავთ ვინკელმანს, კანტს, ჰეგელს, გოეთეს, გრიფიუსს, დიუმას, ბოდენშტედტს, პუშკინს, ლერმონტოვს, პოლონსკის, არაბ და სპარს პოეტებს. ბევრ ქართველ ქალს კეთილი კვალი გაუვლია გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებაში.

ალექსანდრე გრიბოედოვი და უმშვენიერესი ნინო ჭავჭავაძე საუკუნენახევრის წინათ წავიდნენ, მათი სიყვარული კი უკვდავი გადარჩა.

ბევრი გამოჩენილი ქართველი ქალი ითვლება ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობრად, მაგრამ ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედში პირველობს ეკატერინე ჭავჭავაძე. მას საქართველოს დედოფლობა დამშვენდებოდა, მაგრამ ბედმა მხოლოდ სამეგრელოს დედოფლობა არგუნა. მთავარი კი ერთია, ეკატერინემ დიდი როლი შეასრულა ჯერ ტატოს პოეტურ ალმაფრენასა და მერე მისი პოეტური მემკვიდრეობის გადარჩენაში. ილია ჭავჭავაძემ პირველად ეკატერინეს სალონში ნახა ბარათაშვილის მშვენიერი ხელნაწერები, რაც პოეტის ხელმეორედ დაბადების ტოლფასი იყო.

ბარათაშვილის უერთგულესი მესაიდუმლე მისი ბიძაშვილის ასული მაიკო ორბელიანი გახლდათ. მას შესჩიოდა „ყარიბი ძმა", უშლიდა „გულის ხვაშიადს".

მეფე ნიკოლოზ მეორე მოხიბლა მაიკოს სილამაზემ, ლერმონტოვმა ლექსი უძღვნა „თბილისური მანიაკის უნაზეს მარგალიტს". მხატვარმა გაგარინმა ორი პორტრეტი დახატა მისი. გიორგი ერისთავმა ლექსი დაუწერა — „რათა ხარ აგრე შენ ფერმიხდილი".

ბარათაშვილმა კი ასე მიმართა: „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო, ქალო, შავთვალებიანო"

მაიკო ბარათაშვილის ახლო მეგობრის, გამოჩენილი ქართველის ლევან მელიქიშვილის ოფიციალური საცოლე იყო. ამ სიყვარულის ნაყოფი, ერთადერთი ვაჟიშვილი ივანე, ყარსის ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა. ლე-



ნინო ჭავჭავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეკატერინე ჭავჭავაძე



მაიკო ორბელიანი



მანანა ორბელიანი

ვანს აღარ შეურთავს მაიკო. მაგრამ ჭლექით სნეული სატრფოს სარეცელთან გაატარა უკანასკნელი დღეები.

მაიკოსთან აღმოჩნდა ბარათაშვილის ლექსების რვეული და პირადი წერილები. არავისთვის არ მიუწერია ტატოს ამდენი წერილი. „დაო მაიკო, ეს ლექსები იქონიე ჩემეულად. ვიცი, რომ წამკითხველი მათი მოიგონებ ბევრთა საამოთა დღეთა“...

საუკუნის მუზა გვინდა ვუწოდოთ საქართველოს „მადამ რეკამიეს“ — მანანა ორბელიანს. მან დიდი როლი შეასრულა გრიგოლ ორბელიანის ცხოვრებაში. ცნობილი ქართველი პოეტი და სარდალი ერთ დროს მას ეტრფოდა.

მანანა მრავალთა მუზა გახლდათ. მის სალონში იკრიბებოდნენ მწერლები, სახელმწიფო თუ სამხედრო მოღვაწეები. აქ კითხულობდა თავის ლექსებს ტატო ბარათაშვილიც. პოეტი მანანას გულთბილად იხსენიებს თავის წერილებში.

ბარათაშვილის მეგობარ ქალთაგან მართა სოლოღაშვილსაც დავასახელებთ. ეს განათლებული და პირმშვენიერი ქალი ჯერ ჭავჭავაძეების სალონს ამშვენებდა, მერე ალექსანდრე ერისთავმა შეირთო და გორში გადავიდა საცხოვრებლად.

1845 წელს მას ესტუმრა გამოჩენილი გერმანელი პოეტი და მოგზაური ფრიდრიხ ბოდენშტედტი, ავტორი წიგნისა — „ათას ერთი დღე აღმოსავლეთში“. „პოლკოვნიკმა ძლიერ თავაზიანად მიგვიღო, — წერს ქართველ ქალთა სილამაზით მოხიბლული უცხოელი, — დიასახლისობა გაგვიწია მართა ერისთავმა, რომლის უმშვენიერესი ხმა და დიდებული თმა მთელს ხაქართველოში იყო ცნობილი“...

არც რუსი პოეტი გრაფი სოლოგუბი დარჩენილა გულგრილი მართას მიმართ. რამდენიმე ლექსი უძღვნა: „ნუ გეშინია ლეკთა, მთიულთა და გეშინოდეს მართას მშვენებისაო“, წერდა იგი.

...კიდევ ბევრი ქართველი ქალის ჩამოთვლა შეიძლებოდა, რომელთაც შეძლეს გაელამაზებინათ გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება.

**აკაკი ბელოშანი**

# იმედს ღიმილით ჩამოურიგებს

9 აპრილს, ღამით, რუსთაველის პროსპექტზე დათო ფაილოძემ ორივე თვალი დაჰკარგა. ეს არ მოუვიდოდა, დროზე რომ გასცლოდა იქაურობას. მაგრამ დათომ სხვისი შვილები იხსნა, თვითონ კი... არ ნანობს, რადგან ისინი გადაარჩინა.

დათოს ორი შვილი ეზრდება — ირაკლი და ლაშა. თუ კი სადმე შეხვდებით, კეთილი თვალი და გული არ მოაკლოთ, ღმერთს შეავედრეთ.



დათო და უფროსი ვაჟიშვილი ირაკლი

ის დილა მწარედ გათენდა დათო ფაილოძის ოჯახში. მწუხარება დაატყდათ ცოლს, მამას, ძმებს. მხოლოდ ორი პატარა გრძნობდა თავს უზრუნველად — ხუთი თვის ლაშა და სამი წლის ირაკლი. მათ არ ესმოდათ საქართველოში დატრიალებული ტრაგედია.

მხედველობის აღდგენაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაგრამ დათოს მაინც დასჭირდა ურთულესი ოპერაცია, რომელიც პარიზში ცნობილმა ექიმებმა გაუკეთეს (თავის ქალაც ჰქონდა დაზიანებული).

ქართულმა სათვისტომომ პარიზში ყველაფერი იღონა დათოს მოვლა-პატრონობისათვის. იქაურმა ქართველებმა მაშინ გაიცნეს დათო და ზოგიერთები ეხლა თბილისში სტუმრობენ მის ოჯახში.

დათოს დედა არ ჰყავს. იგი ცხრამეტი წლისამ დაჰკარგა. ნანული ლოლობერიძე ფიზიკის მასწავლებელი იყო და მძიმე სენმა გააშორა შვილებს. დათომ ყველაფერი გაუკეთა დედას, რომ კარგი მოვლით სიკვდილის მოახლოება შეემსუბუქებინა.

მამა — ბატონი ირაკლი ფაილოძე ერთ-ერთი გამოთვლითი ცენტრის დირექტორია.

მომხიბლავი მეუღლე ჰყავს დათოს — ლალი ჩიხრაძე. ორივემ პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა, დაქორწინდნენ, შეეძინათ შვილები, ერთად უვლიდნენ, თან ჰყვებოდნენ, რომ უცბად შემოიჭრა 9 აპრილი და ტანჯვა-წამება მოუტანა მათ.



დათო და მისი მეუღლე ლალი შვილებთან ერთად

...გავიდა ორი წელი. ბიჭები წამოიზარდნენ. ისინი აღმერთებენ მამას, რომელიც თავის ყოველდღიურ მზრუნველობას ძილისპირს ზღაპრის მოყოლით ამთავრებს. მამას ბიჭები ისეთეჩი ახსოვს, როგორებიც იყვნენ ორი წლის წინ.

— გახაოცარი მამაა, შვილებზე გადამკვდარი, — ამბობს ლალი. მათი სიყვარულით ფოტოხელოვნებას დაეუფლა და ბევრი სურათი გადაუღო ბიჭებს. ცოლის ასეთი დამხმარე და გამანებივრებელი ქმარი იშვიათია. მყავს ძმა, მაზლები, მათაც ჰყავთ ოჯახი, მაგრამ მთელი სიმძიმე კაცებს რომ ეტვირთოთ, არ შემინიშნავს. დათო საოცარი ოპტიმისტია, დიდი ნებისყოფის, მაღალი სულის ადამიანი. თავის მდგომარეობას ვაჟკაცურად იტანს. მეც მამხნევებს, დარდს მიმსუბუქებს. ასეთი რომ არ იყოს, ალბათ ვერც გიცოცხლებდი.

...არა, ცხოვრება არ დამთავრებულა, — ფიქრობს დათო და ჯიუტად ებრძვის ბედისწერას. არსებობის მიზანს შვილების დავაჟკაცებაში ხედავს. მხნეობას იკრებს და თავისიანებსაც ურიგებს იმედს — იუმორით, ალერსით, ღიმილით.

ლია ქაქაბაძე

ნუგზარ აფხაზავა

# სულის კიბო

ჯონდო შანიძეს თეატრალური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული და დედაქალაქის ერთ-ერთ თეატრში მუშაობდა. ურიგო მსახიობი არ იყო, მაგრამ თითქმის უნაკლო გარეგნობისა და გარდასახვის შესაშური ნიჭის მიუხედავად, დიდ წარმატებებს ვერ მიაღწია, რადგან მის დროს თეატრში ძალზე ბევრმა უნიჭიერესმა მსახიობმა მოიყარა თავი. ჯონდო ამას მწვავედ განიცდიდა, თუმცა არც გარეგნულად იმჩნევდა და არც არასოდეს დაუჩივლია ვინმეს გასაგონად.

ცოლი ოცდახუთი წლისამ შეირთო, უამრავ თაყვანისმცემელთაგან ყოფილი თანაკურსელი, ნატო დავაძე ამოარჩია. ლამაზი იყო ნატო, გრძელი წამწამებით მოჩრდილული მუქ-მწვანე თვალები ჰქონდა, წკრიალა, გამომწვევი კისკისი იცოდა. რუსთაველზე რომ ჩაივლიდა, უკან ყოველთვის მიჰყვებოდა ხოლმე მისი თვალებითა და კისკისით დარეტიანებული ბიჭების გუნდი. ამიტომაც იყო, რომ, ცოლად შეირთო თუ არა, ჯონდომ თეატრში სამსახურზე ხელი აალებინა და მაღაზიაშიც კი არ გზავნიდა პურის საყიდლად.

ტყუპები — ნათია და თათია, წლინახევრისანი იყვნენ, როცა ნატომ კიდევ ერთი გოგონა, შორენა აჩუქა მეუღლეს. თითქოს ამას ელოდაო, ჯონდოს დედას მწვავე რადიკულიტმა შემოუტია და საწოლს მიაჯაჭვა. ნატოს სუსტ მხრებს მძიმე ტვირთად დააწვა ქმრის, სამი შვილისა და ავადმყოფი დედამთილის მოვლა-პატრონობა. ქალის ერთადერთი გასართობი ტელევიზორი იყო, ისიც მაშინ, როცა ბავშვებს დააძინებდა და სხვა საქმეებისაგან მოიცლიდა. ერთხელ ახალი სპექტაკლის პრემიერა გადმოსცეს. იმ სპექტაკლში ჯონდოც თამაშობდა. ნატოს განსაკუთრებით ჯონდოს პარტნიორი, ახალგაზრდა მსახიობი მალხაზ როინიშვილი მოეწონა და შინ დაბრუნებულ მეუღლეს თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა.

ჯონდო მოიღუშა და თეფშში გასწია.

— მალხაზი? — იკითხა ყრუდ.

— ჰო, — ძიუგო ცოლმა. მშვენივრად შეასრულა, ძალიან მომეწონა.

ჯონდომ მსუბუქად დაჰკრა მაგიდას ხელისგული.

— მალხაზი? — გაიმეორა. — იქნებ მანამდეც მოგწონდა?...

ამით დაიწყო...

უცნაური, მაგრამ ნამდვილად საგულისხმო რამ მითხრა მეგობარმა ექიმმა, ონკოლოგმა: ადამიანის ორგანიზმში ყველა სახის არავირუსული სენისა და, მაშასადამე, კიბოს უჯრედებიც არისო ჩაბუდებული; ისინი, თითქოსდა, თვლემენ: შესაძლოა, არც კი გაიღვიძონ მათი პატრონის სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ საკმარისია, რაიმე ფაქტორმა წაუბიძგოს, რომ კიბო მთელი ორგანიზმის დაღუპვის მიზეზი ხდება.

ეჭვიც, იმ ავადსახსენებელი კიბოს მთვლემარე უჯრედისა არ იყოს, ადამიანის ხანდაყოლილი თვისებაა, ზოგს ნაკლებად ახასიათებს, ზოგს — მეტად, ზოგსაც უკურნებელ სენად შეეყრება. ჯონდო შანიძისათვის წამბიძგებელი ფაქტორის როლი თეატრში მისმა წარუმატებლობამ შეასრულა. ეჭვის სენის — ამ სულის კიბოს — პირველი სიმპტომი თეატრიდან ნატოს წამოყვანა იყო, ხოლო იმ საღამოდან, როცა ცოლმა მის როლზე არაფერი თქვა, სხვისი თამაში კი ცამდე აიყვანა, ჯონდო შანიძეს საბოლოოდ დარია ხელი ეჭვიანობამ.

ნათია, თათია და შორენა უკვე საბავშვო ბაღში დადიოდნენ, როცა ჯონდოს დედა გარდაეცვალა. აქამდე მაინც ჰქონდა გული საგულეს, ნატოს საკუთარ ბინაში ზარბ მზერას ვერავინ შეავლებსო, დედის სიკვდილის შემდეგ კი ეს მცირე იმედიც გამოეცალა ხელიდან. ამიტომ დროდადრო მეუღლის შემოწმება გადაწყვიტა და ასეთი რამ მოიფიქრა: ხან სანტექნიკოსივით გამოეწყობოდა, პარიკს გაიკეთებდა, ულვაშს მიიწებებდა, საკუთარი ბინის კარს მიადგებოდა, ზარს დარეკავდა და წყალგაყვანილობასა და კანალიზაციას შეამოწმებდა; ხან გაზის საავარიო სამსახურის მუშაკი იყო, ერთხელ დეპეშაც კი მიუტანა — ვითომ ბათუმის თეატრი იწვევდა ახალ სპექტაკლში მონაწილეობისათვის. ყოველთვის, სანამ ნატო კარს გაუღებდა და შეიპატიჟებდა, ჯონდოს გული უცემდა, ერთიც ვნახოთ და, ბინაში, ნატოს გარდა, ვინმე კაცი დამიხვდესო. „საქმეს“ რომ მორჩებოდა და კარს გამოიხურავდა, თავს იწყევლიდა, რა სულელი ვარო, მაგრამ თეატრში მივიდოდა თუ არა, ისევ მოეძალებოდა და დაუნდობლად ღრღნიდა სულის კიბო.

ეს იყო არაადამიანური, ჯოჯოხეთური სატანჯველი, მაგრამ რა იცოდა ჯონდო შანიძემ, რომ კიდევ უფრო მეტად მისი ერთგული და მოსიყვარულე ცოლი იტანჯებოდა, რომელმაც იმ სანტექნიკოსშიც, ინკასატორშიც, გაზის საავარიო სამსახურის მუშაკშიც პირველივე შეხედვით ამოიცნო თავისი ურწმუნო, მძიმე ეჭვით დაავადებული მეუღლე.

ერთადერთი, ვინც ჯონდოს ეჭვიანობას არ უშინდებოდა და ვისზეც ჯონდო არ ეჭვიანობდა, მათი კედლის მეზობელი, ახალგაზრდა სიმპათიური პედაგოგი სალომე თარალაშვილი იყო.

სალომე მარტო ცხოვრობდა ოროთახიან ბინაში. დედ-მამა ავიაკატასტროფაში დაეღუპა. მაშინ ოცდაერთი წლისა იყო, სწორედ იმ ზაფხულს დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. გათხოვებაზე არც მანამდე და არც შემდეგ უფიქრია, რადგან, ჯერ ისევ მოსწავლე, ჯონდოზე იყო შეყვარებული და თავი დაირწმუნა, რომ მისი ღირსი ვერასოდეს გახდებოდა. თუ სადმე, გულის კუნჭულში, სულ მცირე იმედი მაინც უკიაფებდა, მას შემდეგ, რაც ჯონდომ ცოლი შეირთო და ზედიზედ სამი გოგო, ხოლო მალე — ტყუპი ქალ-ვაჟი ეყოლათ, ის პაწაწინა იმედის სხივიც საბოლოოდ ჩაუქრა. სამაგიეროდ, ახალი, თავისთვისვე მოულოდნელი და უცნაური გრძნობა გაუჩნდა — ჯონდოსა და ნატოს შვილები შეუყვარდა გასაოცარი ძალით.

არავინ იცის, გრძნობდა თუ არა ნატო, სალომეს რომ მისი ქმარი უყვარდა, იქნებ სვდებოდა კიდეც ქალური გუმანით, მაგრამ ეს ზელს არ უშლიდა, დასავით ჰყვარებოდა სათნო და სიმპათიური შინაბერა მეზობელი და არა მარტო უყვარდა, ენდობოდა კიდეც. არც თავის სატკივარს უმალავდა და ერთადერთმა სალომემ იცოდა, რომ ნატოს დედა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობდა. დროდადრო თავს კარგად რომ იგრძნობდა, შვილს ტელეფონით ესაუბრებოდა ხოლმე. თუ ტელეფონი იმ დროს დარეკავდა, როცა ჯონდო შინ იყო და ნატო ყურმილში დედის ხმას გაიგონებდა, ნომერი შეგეშალათო, უპასუხებდა. ამას, ჩვეულებრივ, ჯონდოს უნდო მზერა და, ვინ იყოო, ბოლმიანი შეკითხვა მოჰყვებოდა თან.

ერთ საღამოს სამსახურიდან დაბრუნებულმა ჯონდომ ისე წყნარად შეაღო ოთახის კარი, იქ მყოფთ არაფერი გაუგიათ. სალომე პატარებთან თამაშობდა, ტელევიზორში „შოამბეს“ გადმოსცემდნენ, ნატო კი, ის იყო, დედასთან საუბარს ამთავრებდა, და ჯონდომ სწორედ მისი ბოლო სიტყვები გაიგონა:

— ნუ გეშინია, ძვირფასო, ყველაფერი კარგად იქნება! იცოდე, ძველებურად მიყვარხარ და მენატრები! აბა, ნახვამდის, კარგად იყავი!

კარის წირთხლს მიყრდნობილმა ჯონდომ ნაბიჯი ველარ გადადგა, მისკენ შემობრუნებულ ნატოს სიძულვილით სავსე მზერა მიაპყრო და ჩახლეჩილი ხმით გამოსცრა:

— ვინ იყო?

— მეგობარ ქალს ველაპარაკებოდი, — კარგა ხნის დუმილის შემდეგ ძლივს მოაბრუნა ენა ნატომ, — შენ არ იცნობ.

— ქალს? — მუქარით გადადგა ნაბიჯი ბრაზისაგან ფერდაკარგულმა კაცმა. რა ჰქვია იმ... ქალს? ჰა, რა ჰქვია-მეთქი?!

სალომე შუაში ჩადგა:

— ჯონდო...

— ორივე ერთნაირი ოხრები ხართ, თქვენი დედაც... — ბილწად შეიგინა კაცმა, შებრუნდა და კარი გაიჯახუნა.

სალომემ აღარ იცოდა, ისტერიულ ხიცილ-ტირილ ავარდნილი ნატოსათვის მიეხედა თუ აწრიალებული პატარებისათვის.

უფროსი ტყუპები რვა-რვა წლისანი იყვნენ, ნატომ თავი რომ ჩამოიხრჩო.

მაისის მშვიდი საღამო იდგა. იმ დღეს ჯონდო შინ ადრე დაბრუნდა. ნასვამი იყო. ეზოში მოყრიამულე ბავშვებს შორის თავისი შვილებიც დაინახა და გულმა რეჩხი უყო — მაშასადამე, ნატო მარტო იქნებოდა ცარიელ ბინაში. ავი მოლოდინით სულდამძიმებულმა შედგა ფეხი სადარბაზოში და ზემოდან ჩამომავალ მალხაზ რონიშვილს შეეფეთა.

— ოჰ, ჯონდო! — მოულოდნელობისაგან შეკრთა თუ გაიკვირვა მალხაზმა.

— სადა ხარ, კაცო, გული გადამელია შენი ლოდინით? განა შეიძლება ასეთი ლამაზი ცოლის ამდენი ხნით მიტოვება? კაცო... — ახლალა დააკვირდა სახეზე ჯონდოს, შეცბა და მასაც ფერი ეცვალა. — რა მოგივიდა, ადამიანს აღარ ჰგავხარ!

ჯონდომ გულისპირში ჩაავლო ხელი, კედელს აკრა, მერე ღონივრად დაქაჩა და ისე მოიქნია, მალხაზი დაბზრიალდა, წაბარბაცდა და სადარბაზოს კარს ზურგით მიენარცხა.

— გაგიჟდი?! — აღმოხდა ხრიალით, მაგრამ ჯონდოს არაფერი გაუგონია და არც უკან მოუხედავს, თვალისდახამხამებაში აირბინა მესამე სართულზე, თავის ბინის კარს წიხლი ჰკრა. კარი ჯახუნით მიეხეთქა კედელს, დაჯახების ძალამ უკანვე მოისროლა, ჯონდომ ახლა ხელი ჰკრა და ოთახში შევარდა.

— კახპავ!!!

შუა ოთახში მაგიდასთან მდგარი ნატო გველნაკბენივით შემობრუნდა, მაგრამ, ხმის ამოღება კი არა, გაკვირვებაც ვერ მოასწრო, რომ ჯონდო ერთი ნახტომით მის წინ გაჩნდა და სილა ისეთი გამეტებით გააწნა, ნატომ თავი ვერ შეიკავა, მაგიდას მიასკდა და ჩაიკეცა.

— კახპავ! შენი კახპა დედა!...

...პირველი ნათია ამოვიდა ეზოდან. ბინის კარი ღიად რომ დაუხვდა, გაუკვირდა. შიშით შეაბიჯა ოთახში. შიგ არავინ იყო. მაგიდა შებრუნებული იდგა, იატაკზე ჭიქისა და გრაფინის ნამსხვრევები ეყარა, წყალს პარკეტი დაეტბორა. ნათიამ ფრთხილად აუარა გვერდი ნამსხვრევებს და სამზარეულოს კარი შეაღო. ნატო სამზარეულოს ჭაღის კაუჭზე გამობმულ თოკზე ეკიდა და ოდნავ ირწეოდა. იქვე წაქცეული სკამი ეგდო. ბავშვი ერთხანს უაზროდ შეჰყურებდა სიკვდილისაგან დამახინჯებულ დედას, მერე ყელზე ხელი იტაცა, ერთი ამაზრზენად დაიხავლა და გულწასული დაეცა.

...ნათია დედის გასვენებას არ დასწრებია, მეორე დღესვე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს.

ჯონდო სულ სამჯერ იყო ცოლის საფლავზე. არც ორმოცზე, არც წლისთავზე თავი არ შეუწუხებია. შვილებს მისი თანდასწრებით დედის სახელის ხსენებასაც კი უკრძალავდა. ისედაც მცირესიტყვიანი, ცოლის თვითმკვლელობის შემდეგ მთლად გულჩათხრობილი გახდა, ხმას უმატა და სალომე რომ არ ამოსდგომოდა მხარში, ვინ იცის, ბავშვებს რა დაემართებოდათ. სალომე უმზადებდა სადილ-ვახშამს, სალომე ურეცხავდა და უუთოვებდა ტანსაცმელს, სალომეს დაჰყავდა ერთნი საბავშვო ბაღში, მეორენი — სკოლაში. ჯონდომ არც ფსიქიატრიულ საავადმყოფოს გზა იცოდა, არც სკოლის თუ საბავშვო ბაღისა, მაინცდამაინც არც შვილების აღზრდისათვის იწუხებდა თავს. თვეში ორჯერ, ხელფასის დღეს, შინ ფხიზელი ბრუნდებოდა, სალომეს მაგიდაზე ფულს დაუდებდა, შენ იცი და ამათო (შვილებს გულისხმობდა), სავარძელში ჩაჯდებოდა და გვიან ღამემდე ისე უყურებდა ტელევიზორს, ორ სიტყვას არ იტყოდა.

მაგრამ ასეთნაირი ცხოვრება უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა და ერთ საღამოს, ბავშვებმა რომ დაიძინეს და სალომემ წასვლა დააპირა, ჯონდომ შეაჩერა და ისე, რომ ტელევიზორისთვის მზერა არ მოუშორებია, უთხრა:

— სალომე, გამომყევი ცოლად.

სალომე უღონოდ დაეშვა კედელთან მდგარ სკამზე, თავი ხელებში ჩარგო და უხმოდ აქვითინდა.

...დრო გადიოდა. ბავშვები დაიზარდნენ, ნათია ისევ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იყო, თათია და შორენა გათხოვდნენ, საკუთარი ბუდეები გაიჩინეს, ლია და გურამი კი უნივერსიტეტში სწავლობდნენ. სალომემ საკუთარი შვილები არ იყოლია. სიტყვა „გერს" ვერ იტანდა, ხუთივეზე თანაბრად გადაყოლილი იყო, სულში იძვრენდა და აკი დაუფასდა კიდეც — გერები უმისოდ ნაბიჯს არ დგამდნენ, სიყვარულზე სიყვარულით უპასუხებდნენ და დედინაცვალს „დედას" ეძახდნენ.

ჯონდო თანდათანობით მოეშვა, სახეზე ნაოჭები შეემატა, თმა გასცვივდა, არც ჩაცმას აქცევდა უწინდებურად ყურადღებას, თითქოს ყველაფერი უინტერესო გახდა მისთვის. სალომეს ერთგულებაში იმდენად იყო დარწმუნებული, ეჭვის სენისაგან თითქოს განიკურნა კიდეც, მაგრამ, მერე და მერე, როცა როლებს იშვიათადღა აძლევდნენ — რეპეტიციებზე ნასვამი მიდიოდა ხოლმე — შინ სამუშხამუშ ბრუნდებოდა და ბინა ზოგჯერ ცარიელი ხვდებოდა. გათხოვილ ქალიშვილებს არც ელოდა, ისინი იშვიათად დადიოდნენ მამასთან, ნათია ისევ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იწვა, ლია და გურამი ან ლექციებზე იყვნენ, ან ბიბლიოთეკაში თუ მეგობრებს შორის. სალომე კი... სალომე ხშირად იმ დროს არ იყო ხოლმე შინ, როცა არც გაკვეთილები ჰქონდა და არც სხვა რამ საქმე — ბაზარსა თუ მაღაზიებში. ჯონდო თანდათან იბოღმებოდა, ისევ გაიღვიძა სულის კიბომ. ერთხელაც, როცა ბრაზმორეული იჯდა ტელევიზორთან და მეორე ბოთლ „შუამთას" ათავებდა, სალომემ შემოაღო კარი. მზე კარგა ხნის ჩასული იყო და ოთახში ბინდი იდგა, მაგრამ ქალმა ერთი კი შეხედა ქმარს და მყისვე იგრძნო, უჟმურ გუნებაზე რომ იყო.

— სად დაეხეტები?!— თავი ასწია და მიახალა ჯონდომ.

— მკერავთან ვიყავი, ჯონდო. რა მოგივიდა, რამ გაგაგულისა? — დაუყვავა ქალმა.

ჯონდომ „შუამთის" ბოთლს ხელი წაავლო და კედელს შეალეწა.

— შენი წინამორბედის კვალზე დადიხარ, არა?! — დაიხრიალა.

შეჭაღარავებულულვაშიანი, თმამოშვებული კეპიანი კაცი ურუმრად მიუახლოვდა საფლავთან მდგარ ხუთეულს და ათიოდე ნაბიჯზე, ორი საფლავის იქით, ეული ხის ტანს აეკრა. ტირიფის ხშირი ტოტები საიმედოდ იფარავდა უცხო თვალისაგან, თვითონ კი კარგად ხედავდა ფერად-ფერადი ყვავილებით მოქარგულ საფლავს, რომელსაც ეტყობოდა, რომ მზრუნველი ხელი არ აკლდა. კარგა ხანს იდგა ასე, მერე კი, როცა სალომე დაიხარა, ჩანთიდან ცისფერი მუშამბის ნაჭერი ამოიღო და გაწვეული მოძრაობით ჩაცემენტებულ ბეტონის ოთხკუთხა მაგიდას გადააფარა, უკან დაიხია, გზაზე გავიდა და თავდაღმართში დაეშვა. მაყვლის ბუჩქებს რომ გაუსწორდა, შეჩერდა, კეპი მოიხადა, პარიკი მოიძრო, კეპში ჩატენა, ულვაშიც მოაგლიჯა და ბუჩქებში მოისროლა. შეშინებულმა ბელურებმა შეიფრთხიალეს და მტვრიანი ტირიფის ფოთლებს შეეფარნენ. კაცმა უაზრო მზერა მიადევნა დამფრთხალ ჩიტებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს ემახსოვრება, როგორ ამოაჩინეს ეთერ თათარაიძის პოეტური ნიჭი, როგორ სწრაფად გაბმიანდა მისი სახელი საქართველოში. ალბათ ეთერი ყველაზე ბედნიერი იმ საღამოს იყო, ფილარმონიის დიდი დარბაზის სცენიდან რომ ასმენინებდა პოეზიის მოყვარულთ მშვენიერ ლექსებს. სწორედ იმ საღამოს გაიცნო მომავალი საბედო ამირან არაბული, იმ ერთმა საღამომ გადაწყვიტა მისი მომავალი...

ეთერ თათარაიძის ლექსები პირველად ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდა 12 წლის წინათ...

პოეტი ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტში მუშაობს, ფოლკლორისტიკის კათედრაზე; ზრდის ორ შვილს — მინდიასა და ანანოს და კვლავაც ჩასჩურჩულებს მუზა თუშურ დიალექტზე შექმნილ სასმენად საამო ლექსებს. ზოგს ეს არ მოსწონს, თვლის, რომ მკითხველისთვის ბევრი სიტყვა გაუგებარია, რომ ეთერ თათარაიძე ქართულ სალიტერატურო ენაზე უნდა წერდეს...

მაგრამ სწორედ თუშური დიალექტი ანიჭებს პოეტი ქალის შემოქმედებას იმ განუმეორებელ ხიბლს, რომელიც ასე გვაჯადოებს. მისი სტრიქონები მთასავით წრფელია და ნაკადულივით ანკარა.



## ეთერ თათარაიძე

* * *

ნალეველ დაგვეტყვ* ვიყრებით
მეა-დ ვერხვის ხეებ,
სტეფანწმინდის ნისლები-დ
მლვივან ცირცლის ტყეებ,
ცხვა შეხვედრამდ სენ არ გუვ
ჩვენ გულს ნაჩნვე ჭკდეებს...
ნალეველ დაგვეტყვ: ვიყრებით
ერთმანეთის ტყვეებ.

* სენ არ გუვ — სენი არ გაუვა

* * *

„ხენ იდგნენაო-დ მნარენივ,
კარ მლე იდგესაყ ყუნნამდ". —
უძმო ბერდედა ბობოქრობდ,
სასუდრეთ ბოხჩას შჭუჭკავდ...
„გვარების ჭამა-თავებით
ვერ გაზძლივ", — სოფელს სტუქსავდ.

* * *

ნავიდ ჩემ ნუთისოფელ
ნვალებითა-დ ნამებით,
სუ შუნყვეტელ ნვიმებით,
სუ ჩუმდგარა ქარებით,
სუ ერთ ნამცეც ნანატრის
შეფოფინით, კმარებით,
სალალობო დაგმანულ,
სასევდოს მლე კარებით.

* * *

ჩემ მამაიც ემანდ ნევს,
თეთრ საყდარ რო ჩინს...
დანატრებულ დანოს გორს,
დიყ-შუპყასა-დ ჭიმს...

* * *

ლექსო პაპის დედისაი
შორს აყრილი-დ გადაყრილ
ნასახლარას ვზვერ...
„თეთრნყლებივ" კი ვნერ, მაგრ
იმ ნყლებს სითეთრ—ბროლვისაი
ვერ შევატყვე ბევრ.

* * *

სალეკოს მთისკითა მოვ
ცხვარ-ბატკნისა ჟივილ,
სოფლითა გამედინებ
მოსმედთ ჟოჟინ-ჟიჟინ,
მემრ თანთანა მედების
ბან-კართ ბალლ-ბულლთ ყოჟინ.

* მოსმედი — მსმელი, სმის მოყვარული.

* * *

ნაბილიკარან ძარლვებად დასხმი მწვერვალთ,
ეჰ, ვის არ გუვლი ემაგ ნაშალა ფერდზე!...
ტაფ-ტაფეებში თოვლის ნალვენთი ნარჩომ,
ქაფმორეული თავქვისკ დანაშვებ გზებზე...

ღმერთო, მშვიდობით ატარ შენგნითავ სულგმულნ
შენივ მოგონილ, ღვარცოფად ნაქცევ წყლებზე.

აჰა, ჯანლ ინენ შავკილდის ცერზე ცრეცით,
გზა-კვალ დაკარგულ ნეროებს უდგას რიალ,

თეთრად ანაპენტ დეკას ყვითელ აქვ დაკრულ,
უფსკრულითა მოვ განაცოფ ხევის გრიალ...

იდუმალებაი აცვი სამოსად მზის ძირს,
ამუცნობელი სანუთროს ბორბლის ტრიალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

# უშვილობა და ზოგიერთი ქალური დაავადებანი

## უშვილობა

თუ გათხოვილი ქალი, რომელიც ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებს არ იყენებს, გათხოვებიდან რამდენიმე თვის, ან თუნდაც ერთი წლის მანძილზე არ დაორსულდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი უშვილოა. ამ ხნის განმავლობაში პარტნიორები ეჩვევიან ერთმანეთს, მიმდინარეობს ე. წ. ადაპტაცია. ზოგიერთი ქალისთვის ეს პერიოდი შეიძლება საკმაოდ დიდხანს გაგრძელდეს. მაგრამ, თუ ქალი ქმართან რეგულარული სექსუალური ცხოვრებისას ორი-სამი წლის განმავლობაშიც არ დაფეხმძიმდა, აუცილებელია ექიმს მიმართოს უშვილობის მიზეზის დასადგენად. ამასთან, უმჯობესია სამედიცინო შემოწმება ჯერ ქმარმა გაიაროს, რადგან, როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, უშვილო ოჯახების ერთ მესამედში მამაკაცია დამნაშავე... ნორმალური ეაკულაცია სულაც არ ნიშნავს, რომ კაცს ყველაფერი წესრიგში აქვს, რადგან თუკი თესლში შემავალი სპერმატოზოიდები სიცოცხლისუუნაროა, ისინი ქალის კვერცხუჯრედს ვერ გაანაყოფიერებენ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: გონებრივი დაძაბულობა, სასქესო ორგანოების სხვადასხვა სახის ანთებითი პროცესები, ალკოჰოლის სისტემატური გამოყენება, ზოგიერთი ვენერიული დაავადება (მაგალითად გონორეა).

ქალის უშვილობის მიზეზის დადგენა უფრო რთულია და გაცილებით მეტ დროს მოითხოვს. ხანდახან სწორი დიაგნოზის დასასმელად აუცილებელია ექიმი რამდენიმე თვის განმავლობაში დააკვირდეს პაციენტს. ქალის უშვილობის ყველა მიზეზის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე მეტად გავრცელებულ მიზეზზე გესაუბრებით. ესენია: საკვერცხეების ფუნქციის დარღვევა, საშვილოსნოს მილების გაუმტარობა, სასქესო ორგანოების ზოგიერთი დაავადება, საშვილოსნოს არასაკმარისი განვითარება და ა. შ.

ყველაზე ხშირად მაინც უშვილობის მიზეზად მილების გაუმტარობა გვევლინება, იმ მილებისა, სადაც სპერმატოზოიდმა მომწიფებული კვერცხუჯრედი უნდა გაანაყოფიეროს, ქალს მილების გაუვალობა უმეტეს შემთხვევაში ანთებითი პროცესების გადატანის შემდეგ ემართება, განსაკუთრებით საშიშია პირველი ორსულობის ხელოვნური აბორტით შეწყვეტა.

ახლა უფრო დაწვრილებით გესაუბრებით ზოგიერთ დაავადებაზე, რაც უშვილობის მიზეზი ხდება და რომელთა აღმოჩენისთანავე ექიმს უნდა მიმართოთ.

## ციკლის დარღვევა

ნორმალური მენსტრუაცია სქესობრივად მომწიფებულ ქალს ყოველ 28-30 დღეში, იშვიათად 21-24 დღეში ერთხელ აქვს. მენსტრუალურ ციკლზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, ამიტომ მისი ორი-სამი დღით ადრე ან გვიან დაწყება საგანგაშო არ არის. ჯანმრთელ ქალს მენსტრუაცია მხოლოდ ფეხმძიმობის ან ბავშვის ძუძუთი კვების პერიოდში უწყდება. მისი შეწყვეტა მძიმე ფიზიკურ ან ემოციურ ტრავმასაც შეუძლია. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია სიმშვიდე და დადებითი ემოციები, რის შემდეგაც, დაახლოებით ორი-სამი თვის თავზე აღდგება და რეგულარული ხდება. მენსტრუაციის შეწყვეტას იწვევს აგრეთვე ფარისებრი ჯირკვლის დაავადება, შაქრიანი დიაბეტი. ხანდახან ხდება, რომ ყოველი მენსტრუაციის დროს გამონადენი სისხლის რაოდენობა თანდათან მცირდება და ბოლოს სულაც წყდება. ეცადეთ, არ ინერვიულოთ, ეს ხელს შეუშლის თქვენს გამოჯანმრთელებას. არ ეცადოთ მენსტრუაციის ხელოვნურად გამოწვევას ცხელი აბაზანით, წითელი ღვინითა და სხვადასხვა წამლებით. თუ უკანასკნელი მენსტრუაციის შემდეგ სქესობრივი ცხოვრებით არ გიცხოვრიათ, დაუცადეთ შემდეგი ციკლის დადგომას, თუ მენსტრუაცია მაინც არ დაგეწყოთ, მიაკითხეთ ექიმს.

## თუ ამ კატეგორიას ეკუთვნით...

ერთი მენსტრუაციის დროს ქალი საშუალოდ ასოც გრამ სისხლს კარგავს, რასაც ორგანიზმი ადვილად აღიდგენს შემდეგ ციკლამდე. ხანდახან ეს დანაკარგი ბევრად მეტია და შემდეგი ციკლიც მოსალოდნელზე გვიან ეწყება. ამ შემთხვევაში ქალის ორგანიზმი ვერ ასწრებს დაკარგული სისხლის გამომუშავებას მენსტრუაციის შემდეგი ციკლის დაწყებამდე და ქალს სისხლნაკლებობა უვითარდება. ჭარბი სისხლისდენა შეიძლება დაემართოთ ქალებს, რომლებიც ვერ იტანენ სიცხეს და ამის მიუხედავად ხშირად იღებენ მზის აბაზანებს, აგრეთვე მწეველ და მსმელ ქალებს. თუ თქვენ ქალთა ამ კატეგორიას მიეკუთვნებით და ბევრ სისხლს კარგავთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

## ტკივილი მოგეხსნებათ, თუ...

მენსტრუაციის დროს ტკივილები ქალებს, როგორც წესი, სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე აწუხებთ, რასაც თან სდევს თავბრუსხვევა ან გულისრევა. ქალების უმრავლესობას ასეთი ტკივილები ნელ-ნელა უქრებათ. ბავშვის გაჩენის შემდეგ კი საერთოდ აღარ აწუხებთ. ტკივილების დროს ნუ მიიღებთ ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს, ისინი მხოლოდ დროებით აწყნარებენ ტკივილს, სჯობს გინეკოლოგს გაესინჯოთ. მის მიერ დანიშნული სწორი მკურნალობის შემდეგ ტკივილები საერთოდ მოგეხსნებათ.

## ტრიქომონოზი

ტრიქომონოზი საჭმლის გადამამუშავებელ ტრაქტსა და სასქესო ორგანოებს აზიანებს. ეს დაავადება ძირითადად სქესობრივი გზით გადაიცემა და გამოიხატება საშარდე გზებისა და ლორწოვანი გარსის ანთებით. ავადმყოფი გრძნობს წვასა და ქავილს, აქვს ჩირქოვანი გამონადენი. კაცებს ეს ნიშნები სუსტად აქვთ გამოხატული. ტრიქომონოზით დაავადებულმა მამაკაცმა ზოგჯერ არც იცის, რომ იგი ინფექციის მატარებელია. ტრიქომონოზისგან განკურნებული ქალი, შეიძლება განმეორებით დაავადდეს, თუ ქმარს ჯერ არა აქვს მორჩენილი ეს ავადმყოფობა, ამიტომ ცოლ-ქმარმა ერთდროულად უნდა იმკურნალოს.

ტრიქომონოზი სქესობრივი გზის გარდა შეიძლება გადაგედოთ დახურულ წყალსაცავებში ბანაობისას, ავადმყოფის პირსახოცით ან ღრუბლით სარგებლობისას და ა. შ.

## გახსოვდეთ!

მენსტრუაციის დროს თავი შეიკავეთ: სქესობრივი ცხოვრებისგან, დახურულ წყალსაცავებში, აბაზანაში ბანაობისგან. ისარგებლეთ შხაპით, საპონი იხმარეთ ზომიერად.

ნუ მიეძალებით ცხარეს და მჟავეს. მიირთვით ბევრი ხილი და ბოსტნეული.

# „მახარობელი“ მოვიდა!

## რა გვიჯდება საკუთარი შვილი?



ბენჯამინ სპოკი წერდა: „საკუთარი პირმშოს არსებაში ჩადებული სიხარულის ,გენეტიკურ კოდს ამ ქვეყნად არ შეედრება სხვა ძალა. ვერაფრით იყიდი ამ სიხარულს“...

ჩვენი ტაღრესად პროზაული და დუხჭირი ყოფა, ჩვენს სამშობიაროებში გამეფებული სიტუაცია, რომ ენახა, ბატონი სპოკი უსათუოდ წამოიძახებდა:

ამ ქვეყანაში საკუთარი შვილიც ფულით უნდა იყიდოო.

ყველა დედის მახსოვრობაში უსიამო შეგრძნებებად დალექილა სამშობიაროს სადაგი სურათები. რამდენს ათქმევინა აქაურმა ყოფამ, ოღონდ აქედან გავიდე, ბავშვს როგორღა გავაჩენო. აჩენენ. ტკივილებთან ერთად შეურაცხყოფასაც ივიწყებენ. ასეთია დედობის ინსტინქტი.

სამშობიარო სახლის დამამცირებლად მოკლე ხალათებში, ჭიპამდე ჩახეულ გამოყვითლებულ პერანგებში გახვეული მელოგინეები ჩრდილებივით დადიან დერეფნებში. რაღაცას ეხვეწებიან მომვლელს, მედდას, სანიტარს, მასაჟისტს. ხელით სინჯავენ ხალათის ჯიბეში ჩაკეცილ ამ შემთხვევაში აუცილებელ თუმნიანებს. ამ გზით მოიპოვებენ წვრილმან კომფორტს, საშუალო სისუფთავეს, მინიმალურ სიმშვიდეს.

ამ წერილში თეთრხალათიანთა იმ კატეგორიაზე მოგახსენებთ, სამშობიარო სახლში დამხმარე პერსონალი რომ ჰქვია და ამ დახმარებისთვის ელემენტარული ადამიანური მოპყრობის საფასურს რომ გახდევინებენ... რომ გაიძულებენ, უკიდურესი გაჭირვების ან გახარების ჟამს ფულზე იფიქრო. შეიძლება მელოგინეს მადლიერება თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მოთხოვნის გარეშეც გამოეხატა, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ულაზათოდ და გულისამრევად წარმოგვიდგება ყველაფერი. ხშირად მთელი დერეფნის გასაგონად გაჰყვირის სანიტარი ან ექთანი: გ-ძე რომელ პალატაშია, მას ესა და ეს სამსახური გავუწიეო, ე. ი. ფული მეკუთვნისო.

საბედნიეროდ, გვყავნან ისეთი მედიკოსები, ვისთვისაც უცხოა ანგარება. გვყავნან, მაგრამ სამწუხაროდ, ისინი უმცირესობაში გვეგულებიან. ამ წერილით ვინმეს გულის ტკენა და შეურაცხყოფა არ გვიფიქრია. ამიტომ მოვერიდეთ კონკრეტული სამშობიაროსა და მისი თანამშრომლების მოხსენიებას. ჩვენ მხოლოდ ის გვინდა, სამშობიარო სახლში, სიხარულის სახლში ფულზე ნუ გაიყიდება და შეიძინება სიხარული, ადამიანური და პროფესიული ვალი ანგარებით ნუ ანაზღაურდება.

მიაგორებენ გრძელ დერეფანში პატარა „მუთაქებით“ დატვირთულ გრძელ, ჭრიალა ურიკას. პალატებში ჩამოარიგებენ ვარდისფერ და ცისფერ ოცნებებს. უსინდისოები აქაც ახერხებენ გარკვეული საფასურის მოხვეჭას. ერთმა ჭკვიანმა კაცმა ბრძანა, ხომ არ მოვიდა, ბატონებო, დრო, ასეთ ხალხს მოლალატეები დავუძახოთო. ღალატი ერთობ მძიმე ბრალდებაა, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აქ, სამშობიარო სახლის თეთრ პალატებში ერის მომავალთან გვაქვს საქმე. და მაშასადამე ასეთ მოპყრობას მართლაც ღალატის სუნი უდის. რადგანაც საზოგადოებაში ასეთი აზრია ფეხმოკიდებული და ვიტყოდი არც თუ უსაფუძვლოდ, ახლა თვით მედპერსონალს მოვუსმინოთ.

**სამშობიაროს მთავარი ექიმი:**

**— ვერ დავადანაშაულებ ჩემს პერსონალს, დამნაშავეა მელოგინე და მისი პატრონი. არ არის საჭირო წვრილმან მომსახურებაში გასამრჯელოს გადახდა. ჩვენთან, მაგალითად, მშობიარე ქალებს კეთილსინდისიერად ემსახურებიან. პატიოსანი მედიკოსი არ იკადრებს ფულის წაგლეჯას.**

**სხვა სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი:**

**ასეთი თანამშრომელი სამსახურიდან უნდა დაითხოვო. ჩვენთანაც აქვს მსგავს ფაქტებს ადგილი. ყველანაირად ვებრძვი ასეთ სიმახინჯეს.**

**გინეკოლოგი:**

**— ყველაზე იოლად დავაღწევთ თავს ამგვარ მანკიერებას, თუ ფასიან სამედიცინო მომსახურებას შემოვიღებთ.**

მელოგინე, სამი შვილის დედა, ეთერ მ-შვილი.

**— მესამედ ვწევარ ამ სამშობიაროში, იცით, რას გეტყვით? ჩვენ გავაფუჭეთ ეს ხალხი და პასუხს მათ ნუ მოვთხოვთ. რატომ მივაჩვიეთ სიგლახეს? გადაჩვევა უფრო ძნელია.**

**მეორე მელოგინე:**

**— თუ თბილისში წესიერი სამშობიარო სახლი აშენდება, სადაც ადამიანად იგრძნობ თავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავაჩენ მეორე შვილს.**

**სამშობიაროს მიმღებში მომლოდინეთა აზრი:**

**— ოღონდ ნორმალური ბავშვი გაჩნდეს და სულს არ დავიშურებ მახარობლისათვის.**

**— რაზეა ლაპარაკი, არ გრცხვენიათ, რაღაც კაპიკებს უთვლით ამ საწყალ ხალხს?**

**— რას ჰქვია, ქალბატონო, კაპიკები! მეოთხე შვილს აჩენს ჩემი რძალი. გავიყიდეთ, სულით ხორცამდე გავიძარცვეთ. დღეში სამჯერ საჭმელი მომაქვს. სამ მანეთზე ნაკლებად ხელს არ მოკიდებენ, რომ მესამე სართულზე აუტანონ...**

**— ბავშვის გამოყვანის დღე მოდის და გული მისკდება, ვინმეს რამე არ დავაკლო. არ დამიწყევლონ ბავშვი.**

**რა სავალალოდ შორსა ვართ ადამიანური ურთიერთობებით მდიდარ ისეთი საზოგადოებისაგან, სადაც ჰაერივით საჭირო სამედიცინო მომსახურება მართალია, ძვირი ღირს, სამაგიეროდ ღირსებას არ გიკარგავს. ნუთუ ოცნებაც არ შეიძლება ისეთ სამშობიარო სახლზე, რომელიც უდიდესი სულიერი შვებისა და სიხარულის სახლი იქნება?**

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ, ბატონებო და ქალბატონებო, მახარობლის გამოჩენით მოგვრილი სიხარული. ოღონდ მართლაც მახარობლისა...

**რუსუდან დუგლაძე**

# ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲐ

## 1991 წლის მოდების ჩვენება პარიზში

**სპეციალურად „საქართველოს ქალისათვის"**

25 წლის ფიონა პერინგს ჰოლანდიურ გაზეთში „დე ტელეგრააფ" მიჰყავს ყველაზე პოპულარული რუბრიკა მოდაზე. მას ყოველთვის აქვს ორიგინალური, და, რაც მთავარია, ობიექტური აზრი მსოფლიოს წამყვან მოდელიორთა ნამუშევრებზე.

როცა ფიონას ვთხოვეთ ქართველი ქალებისათვის გაეცნო მოდის ბოლო მიღწევები, იგი მაშინვე სიამოვნებით დაგვეთანხმა, მისი ოცნებაა საქართველოში ჩამოსვლა.





ლოლიტა ლემპიცკის მოდელი.



კარლ ლაგერფელდის კოლექციის მოდელი.

თითქოს, სადამდე შეიძლება, მაგრამ პარიზელი დიზაინერები ისევ ამოკლებენ და ამოკლებენ კაბებს. ხშირად ძველმოდური სამოსით შთაგონებულნი, უხვად გვიჩვენებენ „პაჩკებს" (ბალერინის ქვედატანი). მოკლე შარვლებს და სხეულის შიშველ ნაწილებს; თუმცა ამას დიდი იუმორით აკეთებენ, ეს მიმდინარეობა სექსუალურია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ვულგარული არ არის.

სექსი „კარგად იყიდება". ამიტომ ფრანგი დიზაინერები სწორედ ახლა იყენებენ ფართოდ ამ თემას. მომავალ ზაფხულს სიახლე ტანსაცმელში კი არა, თვით ქსოვილში უნდა ეძებოთ. საინტერესო მიმართულებად ისევ გამჭვირვალე ტანსაცმელი რჩება. გამჭვირვალე კაბა თითქმის ყველა ფრანგი მემოდელის კოლექციაშია წარმოდგენილი. ხშირად ერთ მანეკენს ერთი კაბა მეორეზე აცვია, ალბათ, ბუნებრივი მორცხვობის გამო.

გამჭვირვალე კაბის ყველაზე ორიგინალური ვერსია შემოგვთავაზა დიზაინერმა ჰელმუტ ლანგმა. იგულისხმება, რომ მსუბუქად დამაგრებულმა ბუმბულმა უნდა დაფაროს მკერდი და სხეულის კიდევ ერთი-ორი ნაწილი, დანარჩენი კი... სწორედ ამიტომ მინდა გითხრათ: — თუ რომელიმე ცნობილი მანეკენის სხეულის ნახვა გაინტერესებთ — ისე, დედიშობილა, — პარიზის მოდების ჩვენებას უნდა დაესწროთ.

80-70-იანი წლების გავლენა ჯერ ისევ ძლიერ იგრძნობა პარიზულ მოდელებში: ხახხახა შარვლები, სვიტერები, რომლებშიც ისევ შიშველი სხეული მოჩანს; შარვლები თეძომდე, ნაკუწებისაგან შეკერილ ჯინსზე მოცმული ჯონ გალანოს სამხედრო სტილის, ე. წ. „სერჟანტ პეპერსის" ქურთუკები.

გამოიყენება ყველა სახის მასალა: რეზინა, ლატექსი, ვისკოზა ლაიკრასთან ერთად და ქაღალდიც კი კაბებისთვის.

1991 წლის ზაფხული კაბებს ეკუთვნის: მოკლე, ტანზე მომდგარი, გრძელი, განიერი — ოღონდ აუცილებლად კაბა.

კოლექციაში დომინირებს თეთრი და სტაფილოსფერი, მაგრამ აქ უწინდებურად უხვად გვხვდება ვერცხლისა და პასტელის ფერები.

**ფიონა პერინგი,**
ჰოლანდიელი ჟურნალისტი



კრისტიან დიორის მოდელი (ავტორი — ჯანფრანკო ფერე). მის კოლექციაში ახალი არაფერია. „რაც უფრო სადაა — უკეთესია“ — ამბობს ფერე.





ინგლისელი დიზაინერის ჯონ გალიანოს მოდელი. მისი მეორე კოლექცია პარიზში იქნა ნაჩვენები (უწინ ყოველთვის ლონდონში წარადგენდა ხოლმე): გალიანო ერთ-ერთი ყველაზე იმედისმომცემი ახალგაზრდა დიზაინერია. მის სტილს ძლიერ ეტყობა 60-70-იანი წლების გავლენა, რომელსაც ზოგი „ანტიმოდას“ უწოდებს.



კლოდ მონტანას მოდელი. ნამდვილი მონტანაა. მასში წარმატების სურვილი მოჩანს. მის მიერ ლენვინისთვის შექმნილმა მეორე კოლექციამ მართლაც დიდი წარმატება დაიმსახურა. ეს მოდელი 1991 წლის ზაფხულის მზა ტანსაცმლის კოლექციიდანაა.

მისი სტილი წინანდებურად სადა და უბრალოა, კოლექციაში უამრავი თეთრია ვერცხლისფერ დეტალებთან კომბინირებული. 1991 წლის ზაფხულის კოლექციებშიც თეთრი დომინირებს.

ცნობილი მანეკენი სინდი კროუ
...რდი დიზაინერ თიერი მაგლერის მიერ
...1 წლის ზაფხულისათვის შექმნილ
...ელში ჩაცმული.

იაპონელი დიზაინერის იოში იამამოტოს მოდელი 1991 წლის ზაფხულისათვის.



# ქეთევან დედოფალი

ქეთევან დედოფლის სახელი ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის, მისი დაუმორჩილებლობისა და თავისუფლებისაკენ სწრაფვის, ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ერთგულების სიმბოლოა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ამ მძიმე დღეებში, კიდევ ერთხელ გვინდა გავიხსენოთ დიდი ქეთევანი, და დავარწმუნოთ ჩვენი ხალხი, რომ ერს, რომელსაც ასეთი წინაპრები ჰყავდა, გადაშენება არ უწერია.

XVII საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში მდგომარეობა გართულდა. ირანის შაჰმა აბას პირველმა თურქეთს ომი გამოუცხადა. მისი მიზანი იყო ამიერკავკასიიდან ოსმალთა განდევნა, რუსეთისათვის გზის მოჭრა და აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა.

1605 წელს შაჰ-აბასმა ირანში მყოფი კახეთის მეფე ალექსანდრე სამშობლოში დააბრუნა და თან გამოაყოლა გამაჰმადიანებული უმცროსი შვილი კონსტანტინე მირზა. მას შირვანიდან ოსმალები უნდა განედევნა. კონსტანტინეს სხვა დავალებაც ჰქონდა...

მეფე ალექსანდრე და უფლისწული გიორგი შირვანზე ლაშქრობისგან თავს იკავებდნენ, კონსტანტინე კი პირიქით, ლაშქრობის მომხრე იყო. მამასა და შვილებს შორის მოხდა კონფლიქტი და საშინელი ტრაგედია დატრიალდა. კონსტანტინემ მოკლა ძმა, გიორგი, ხოლო მისმა მხლებლებმა — მეფე ალექსანდრე. გადაგვარებულმა შვილმა მამის და ძმის მოჭრილი თავები, დანაბარებისამებრ შაჰს გაუგზავნა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. შემდეგ ადრე გარდაცვლილი ძმის, დავითის ქვრივს ქეთევანს შეუთვალა: „ჯერ არს სჯულისა მაჰმადისასა შერთვა რძლისა და აწ მე დავიპყარ კახეთი ნებითა ყეენისათა, შემირთევ და იყავ კუალადცა დედოფალი და უკეთუ არა ინებო, მე ძალად ვყო ესე“. კონსტანტინეს ეს მოთხოვნა შემთხვევითი არ იყო. მან კარგად იცოდა, რომ ქეთევანი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სამეფო ოჯახშიც და ხალხშიც, ამიტომ მის თანადგომას განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა მომავალი მეფისთვის იმ მძიმე ვითარებაში.

ქეთევანმა რენეგატ კონსტანტინესთან ლაპარაკიც არ ისურვა. მან მამამთილისა და მაზლის გვამები ალავერდში დააკრძალვინა და კახეთის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. შეთქმულებმა დაამარცხეს კონსტანტინე მირზა და როგორც ერისა და ქვეყნის მოღალატე მოკლეს.

ქეთევან დედოფალმა მარჯვე დიპლომატიური სვლა გააკეთა. შაჰს ელჩები გაუგზავნა, კონსტანტინეს მოკვლა აუწყა და კახეთის ტახტზე თავისი შვილის, ირანში მძევლად დარჩენილი თეიმურაზის დამტკიცება სთხოვა. ოსმალეთთან ომში გართულ შაჰს არ უნდოდა საქართველოს წყენინება, 1606 წელს 16 წლის ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ დაამტკიცა და სამშობლოში გამოისტუმრა.

1612 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო. შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთის საბოლოო დამორჩილება გადაწყვიტა და ერთგულების ნიშნად კახთა მეფეს მძევალი მოსთხოვა. თეიმურაზს არ უნდოდა მძევლის გაგზავნა, მაგრამ ქვეყნის აოხრების შიშით და დიდებულთა დაჟინებული მოთხოვნით განჯაში მდგომ შაჰს დედა-დედოფალი ქეთევანი და უმცროსი შვილი ალექსანდრე გაუგზავნა.

შაჰი უკმაყოფილო დარჩა. ძიძა ვარ, ბავშვი რომ გამომიგზავნესო? და უფროსი ვაჟი მოითხოვა. კახთა მეფემ ლევანიც აახლა, მაგრამ ირანის მბრძანებელმა თვითონ თეიმურაზი დაიბარა. აშკარა გახდა, მას სამეფო სახლის ამოწყვეტა და კახეთის დაპყრობა უნდოდა.

1614—1617 წლებში შაჰ-აბასი ოთხჯერ შემოიჭრა კახეთში. მთელი კახეთი გადაწვეს და დაანგრიეს. ასი ათასამდე კაცი მტერს შეაკვდა, ორასი ათასამდე — ტყვედ წაიყვანეს. მეფე თეიმურაზმა იმერეთს შეაფარა თავი.

კახეთის მმართველად გამაჰმადიანებული ისა-ხანი (ალექსანდრე გიორგის-ძის ვაჟი) დაინიშნა. ირანის წინააღმდეგ ბრძოლა ფართო ხასიათს იღებდა, აჯანყებებმა იმატა.

ირანში ტყვედ მყოფი ქეთევან დედოფალი 1620 წელს შაჰმა შირაზს გაგზავნა და გამაჰმადიანებულ ქართველს, შირაზის ბეგლარბეგს, იმამ ყული ხანს (უნდილაძეს) ჩააბარა.

თეიმურაზმა რუსეთის დახმარებით სცადა დედის გათავისუფლება, მაგრამ ამან უფრო გააცოფა ირანის მბრძანებელი. მას დაუშვებლად მიაჩნდა ამიერკავკასიის საქმეებში რუსეთის ჩარევა. გაგულისებულმა შაჰმა იმამ ყული ხანს უბრძანა ქეთევანისათვის ისლამი მიეღებინებინა. გამაჰმადიანების შემთხვევაში შაჰი მას ცოლად შერთვას და დიდ საჩუქრებს პირდებოდა. დედოფალმა მტკიცე უარი განაცხადა.

ირანში მყოფი ევროპელი მისიონერები იცნობდნენ ქეთევანს, მოსწონდათ მისი ღვთისმოსაობა, განათლება, გარეგნობა, და ის ტაქტი, რომელიც დედოფალს ტყვეობის უმძიმეს პირობებშიც არ ღალატობდა.

შაჰ-აბასმა ირანში მყოფი მძევლები — თეიმურაზის ვაჟები დაასაჭურისებინა. ამ საშინელ სასჯელს ვერც ერთმა ვერ გაუძლო. უმცროსი, ალექსანდრე გარდაიცვალა, ხოლო უფროსი, ლევანი — ჭკუიდან შეირყა. შაჰმა კიდევ ერთხელ შესთავაზა ქეთევანს გამაჰმადიანება, და როდესაც კვლავ ცივი უარი მიიღო, მისი წამება და სიკვდილით დასჯა გადაწყვიტა.

ქეთევანის თვალწინ აწამეს და ისლამის რჯული მიაღებინეს მის მღვდელს, მხლებლებს, მსახურებს...

1624 წლის 22 სექტემბერს შაჰის ბრძანებით ქეთევანის წამებისათვის მოემზადება ბრძანეს. დედოფალი თავის სამლოცველოში შევიდა და ღმერთს შევედრა, მიეცა ძალა ტანჯვის ასატანად...

ქართველი დედოფლის წამების შემაზრზენი ამბავი ირანიდან შორს გაიტანეს თვითმხილველმა მისიონერებმა. მათვე უპატრონეს ქეთევანის ნეშტს. დედოფლის თავისა და ძვლების ნაწილები ავგუსტინელმა ბერებმა მის შვილს, თეიმურაზს ჩამოუტანეს 1628 წელს. ნეშტის სხვა ნაწილები კი გოაში (ინდოეთი) წაიღეს და ქალაქ გრასას მონასტერში მოათავსეს. ზოგიერთის ცნობით ნეშტის დანარჩენი ნაწილი ბელგიის ერთ-ერთ მონასტერშია, ნაწილი კი რომის წმიდა პეტრეს ტაძარში.

საქართველოში ქეთევანის წმინდა ნეშტის ნაწილები მარმარილოს ყუთით ალავერდის ტაძარში ინახებოდა. 1723 წელს, როდესაც საქართველოს მტერი შემოადგა და ლტოლვილი მეფე თეიმურაზ II ანანურს მიდიოდა, მას მარმარილოს ყუთიც თან მიჰქონდა, რომ მაჰმადიანებს არ წაებილწათ. საუბედუროდ, ცხენს ფეხი აუცდა, ყუთი არაგვში ჩავარდა და სამუდამოდ დაიკარგა. სამწუხაროდ, ვერ მიაკვლიეს ქეთევანის წმიდა ნაწილებს ვერც ბელგიაში, ვერც რომსა და ინდოეთში.

სათაყვანებელი დედის მძიმე ხვედრი მწვავედ განიცადა მისმა შვილმა, მეფემ და პოეტმა თეიმურაზმა. მან ქეთევანს მიუძღვნა პოემა — „წამება ქეთევან დედოფლისა“.

ჩვენი ხალხისათვის ქეთევანის სახელი საამაყო და სამაგალითოა. ქართულმა ეკლესიამ დედოფალი წმინდანად შერაცხა. 26 სექტემბერი — დიდმოწამის, საქართველოს მნათობის, კახეთის დედოფლის ქეთევანის ხსენების დღეა.

**მარიამ ლორთქიფანიძე,**
პროფესორი, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.



# მაკაკა და მისი კუდი

## ბრაზილიური ზღაპარი

ერთმა მაკაკამ გამდიდრება გადაწყვიტა. ადგა და კუდი გზაზე გადო, სადაც ურემს უნდა ჩამოევლო. მეურმემ ეს რომ დაინახა, მაკაკას გასძახა: გასწი კუდი, მაკაკა, უნდა გავიაროო.

— არ გავწევ, — უპასუხა მაკაკამ.

მეურმემ ხარებს შეუძახა, მაკაკას კუდზე გადაუარა და წააწყვიტა კიდეც.

— ვაი, კუდი! ვაი, კუდი! ან კუდი დამიბრუნე, ან დანა მაჩუქე! — აყვირდა მაკაკა.

მეურმემ დანა აჩუქა და მაკაკაც სიმღერ-სიმღერით გაუდგა გზას:

— კუდი დავკარგე, დანა მოვიგე, ტინგლინ-ტინგლინ, აფრიკაში მივდივარო.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ მოხუც ზანგს შეხვდა, რომელიც კალათებს წნავდა, და რადგან დანა არ ჰქონდა, წკნელებს კბილებით ამტვრევდა.

— ჰეი, საბრალო მოხუცო, კბილებს რატომ იფუჭებ. აჰა, ჩემი დანა იხმარე, — უთხრა მაკაკამ.

გამოართვა ზანგმა დანა, მაგრამ მოჭრა თუ არა წკნელი, დანა შუაზე გატყდა.

— ვაი, ჩემი დანა! ვაი, ჩემი დანა! ან დანა გამიმთელე, ან კალათა მომეცი! — აყვირდა მაკაკა.

მოხუცმა კალათა მისცა და გახარებულმა მაკაკამ გზა გააგრძელა.

— კუდი დავკარგე, დანა მოვიგე, დანა დავკარგე, კალათა მოვიგე, ტინგლინ-ტინგლინ, აფრიკაში მივდივარო, — მიდიოდა და მიიმღეროდა, ხანამ ერთ პურის მცხობელს არ გადაეყარა. ქალს კალათა არ ჰქონდა და ცხელ პურს კაბის კალთაში იწყობდა.

— რად წვალობ, დედილო, აჰა, ჩემი კალათა, — შესთავაზა მაკაკამ.

გახარებულმა ქალმა კალათა გამოართვა, მაგრამ ჩადო თუ არა პური, კალათას ძირი გასძვრა.

— ჩემი კალათა მინდა! ჩემი კალათა მინდა! ან კალათა გამიმთელე, ან პური მომეცი! — აყვირდა მაკაკა.

მისცა ქალმა პური და მაკაკამაც ჭამა-ჭამით გააგრძელა გზა.

— კუდი დავკარგე, დანა მოვიგე. დანა დავკარგე, კალათა მოვიგე, კალათა დავკარგე, პური მოვიგე, ტინგლინ-ტინგლინ აფრიკაში მივდივარო, — ხანამ მიიმღეროდა მაკაკა, ხანამ მთელი პური არ შემოეჭამა.

ესპანურიდან თარგმნა
თეა გვასალიამ

მხატვარი ცინარა ტერელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჯენტლმენების სკოლა



„რომელ ხელში უნდა ეჭიროს ჯენტლმენს ჩანგალი, თუ მარცხენა ხელში კატლეტი უჭირავს?" — ხუმრობდნენ ოდესღაც „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის" წევრები. ჯენტლმენი — ამ კეთილხმოვანმა ინგლისურმა სიტყვამ ნელ-ნელა დაკარგა თავის პირვანდელი მნიშვნელობა. დღეს თუ მამაკაცი ქალს ადგილს დაუთმობს მეტროში, ჯენტლმენიაო, ამბობენ, რადგან ძლიერი სქესის დანარჩენი წარმომადგენლები არხეინად მოკალათებულან სკამებზე და ქალის მიახლოებისას იხეთი ძილქუში დაეცემათ, რომ თავიანთ გაჩერებაზე ძლივს ფხიზლდებიან. ხოლო თუ ქალს ატორლიალებული ხულიგნის დანახვაზე შემთხვევით გამვლელი კაცი უახლოეს სადარბაზოს კი არ შეაფარებს თავს, არამედ მრავალმნიშვნელოვნად გაჩერდება ქალის გვერდით, მისი მოქმედება სამოქალაქო გმირობის ტოლფასია და „წყალწაღებულთა გადარჩენისთვის" თუ არა, „მამაცობისთვის" მედალს ნამდვილად იმსახურებს. ჩვენ არ შევუდგებით ჭკუის სწავლებას, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ნამდვილი მამაკაცი ექსტრემალურ სიტუაციებში. რჩევებით, რომლებსაც ახლა მოგცემთ, შეგიძლიათ ისარგებლოთ ყოველდღე და ნებისმიერ სიტუაციაში!

რადგან ჩვენ, ქალებს ძალიან გვინდა ჩვენს გვერდით ყოველთვის იყოს რაინდი მამაკაცი, ანუ მოდურად რომ ვთქვათ — ჯენტლმენი.

ადამიანის კულტურა და უკულტურობა უპირველეს ყოვლისა, წვრილმანებში მჟღავნდება. თუ თქვენ თეატრში ზიხართ და სპექტაკლის მსვლელობის დროს კანფეტის ქაღალდს აშრიალებთ, თუ უკვე ნანახ ფილმს უყურებთ კინოში და წინასწარ ხმამაღლა უყვებით მის შინაარსს მეგობარს, რომელიც თქვენგან განსხვავებით ფილმს პირველად უყურებს, თუ მოღუშული უსიტყვოდ ხვდებით სტუმრებს, არ უსმენთ მათ ლაპარაკს და მოურიდებლად ამთქნარებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს აღზრდაში ბევრი ხარვეზია დაშვებული.

კულტურული ადამიანი ლაპარაკში არ უნდა იყენებდეს ბევრ უცხო სიტყვას, გრიმასებით არ უნდა დასცინოდეს პიროვნებას, ვის ამბავსაც ყვება, უნდა შეეძლოს ემოციების მოთოკვა და გარშემო მყოფთ თავზე არ უნდაახვევდეს თავის სიხარულს თუ მწუხარებას.

## თქვენ გაიცანით ქალი...

როცა კარგად აღზრდილი მამაკაცი ქალს გაიცნობს სტუმრად ყოფნისას, მისი ვალია ქალი სახლამდე მიაცილოს. დაიმახსოვრეთ, სახლამდე და არა ბინამდე. იგი ქალისგან მარცხნივ უნდა იდგეს. თუ ის ორ ქალს აცილებს, თავად — შუაში უნდა დადგეს. ხოლო თუ ქალების ასაკს შორის შესამჩნევი განსხვავებაა, კაცისგან მარჯვნივ უნდა იდგეს უფროსი ქალი, მარცხენა მხარეს კი — ახალგაზრდა. თუ მამაკაცი ტაქსს აჩერებს, მან ჯერ ქალები უნდა დასვას უკანა სავარძელზე და ამის შემდეგ თვითონ მოთავსდეს მძღოლის გვერდით. თუ იგი მხოლოდ ერთ ქალს აცილებს, მაშინ ჯერ ქალი უნდა დასვას უკანა სავარძელზე, შემდეგ თავად მიუჯდეს გვერდით. კიბეზე ასვლისას კაცმა ქალი უნდა გაუშვას წინ, ჩამოსვლისას კი — თავად უნდა დაეშვას პირველი, რათა თუ ქალს შემთხვევით ფეხი დაუცდა, კაცის მხარს დაეყრდნოს, იგივე პრინციპით უნდა იმოქმედოთ საზოგადოებრივ ტრანსპორტში.

## ქალი რესტორანში მიიწვიეთ

რესტორანში, ისევე როგორც სხვა უცნობ ადგილებში, მამაკაცი ქალზე წინ შედის. თუ რამდენიმე კაცი ხართ, მაშინ რესტორანში პირველი შედის დაპატიჟების ინიციატორი, შემდეგ ქალები და ბოლოს, დანარჩენი მამაკაცები. გარდერობში მამაკაცები ეხმარებიან ქალებს პალტოს გახდაში, აბარებენ მათ პალტოებს და მხოლოდ ამის შემდეგ იხდიან თავად. დარბაზშიც მამაკაცი შედის პირველი და მაგიდას არჩევს. ადგილს მაგიდასთან პირველად ქალი იკავებს. სასურველია, რომ ქალი პირით დარბაზისკენ იჯდეს, მამაკაცი კი ზურგით გასასვლელისკენ. თუ ქალს პატარა ჩანთა აქვს, შეუძლია ის მუხლებზე დაიდოს ან სკამის საზურგეზე ჩამოჰკიდოს. უკულტურობაა ჩანთის მაგიდაზე დადება. ქალი პირველად ეცნობა მენიუს და ირჩევს კერძს. სასმელს არჩევს კაცი, ქალის გემოვნების გათვალისწინებით.

თუ ქალს კოსმეტიკის მოსაწესრიგებლად ან სხვა მიზნით გასვლა მოუნდა, მამაკაცი არ უნდა წამოდგეს, ამით ის უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ქალსაც და თავის თავსაც. რესტორნის დატოვების წინ მამაკაცი იხდის დანახარჯს. ქალს გარდერობამდე აცილებს და ეხმარება მას პალტოს ჩაცმაში.

## თეატრში და კონცერტზე

იმისდა მიუხედავად, ქალი პატიჟებს მამაკაცს, თუ მამაკაცი ქალს, ბილეთები მამაკაცს უნდა ედოს ჯიბეში. ის პირველი შედის დარბაზში, პირველი გადის რიგებს შორის და უკვე ადგილებთან მისული არჩევინებს ქალს მისთვის მოსახერხებელ სავარძელს. (ზედმეტად მიგვაჩნია იმის შეხსენება, რომ რიგებში გასვლისას პირით თქვენი რიგის მაყურებლებისკენ უნდა იყოს შებრუნებული). როგორც წესი, ქალი მამაკაცისგან მარჯვნივ ჯდება, მაგრამ, თუ თქვენი ადგილიდან სცენა ცუდად მოჩანს, ან წინ მჯდომთა თავები გეფარებათ, შეგიძლიათ ადგილი გაუცვალოთ თანამგზავრს.

## საჩუქრების მირთმევა ხელოვნებაა

ქალის ოჯახში პირველად მისული მამაკაცი, როგორც წესი, ყვავილებით იმშვენებს ხელს. ქალის მხრიდან სიტყვიერი მადლობის გადახდა არაა საკმარისი. უკულტურობაა, როცა ქალი მირთმეულ ყვავილებს შემოსასვლელში დააწყობს და აღარც ფიქრობს მათზე. რაც არ უნდა დაკავებული იყოს ქალი, მან თავის საყვარელი ლარნაკი უნდა მოძებნოს და ყვავილები წყალში მოათავსოს.

კარგად აღზრდილი მამაკაცი არასოდეს იკადრებს ქალს ინტიმური ტუალეტის ნივთები მიართვას საჩუქრად. ასევე მიზანშეუწონელია ნაცნობობის დასაწყისში ქალისთვის ძვირფასი ნივთის ჩუქება. თუ ქალი ასეთ საჩუქარს აიღებს, ის თავს დავალებულად გრძნობს, ეს კი ხელს შეუწყობს მათ ურთიერთობაში ერთგვარი დაძაბულობის წარმოქმნას.

გვერდი მამაკაცებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# და მაინც მოლოდინი...



უსინათლო ბავშვთა სასწავლებელი



მისამართი: გუთნის ქუჩა № 6, თბილისის უსინათლო ბავშვთა რესპუბლიკური სკოლა-ინტერნატი.

სასწავლებელი დაარსდა 1889 წელს. იგი შემოწირულობით აუგიათ უსინათლოთა სამფარველო ორგანიზაციებს, კავკასიის და, კერძოდ, თბილისის უსინათლოთა საბჭოს.

სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის ღვაწლმოსილი პედაგოგი ბატონი გოგი რევაზიშვილი მიამბობს, რომ სასწავლებელი დაუარსებია ნინო ალექსანდრეს ასულ აბაშიძეს.

სამოცდაათი ბავშვისათვის განკუთვნილი გოთური სტილის ეს ლამაზი სამსართულიანი შენობა ველარ აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს, რადგან ინტერნატში თითქმის ორჯერ მეტი ბავშვი სწავლობს. საჭიროა დროულად აშენდეს ახალი კორპუსი.

შენობაში შესვლისთანავე შეიმჩნევა განსაკუთრებული სისუფთავე და მზრუნველი ხელი:

სამი წელია ინტერნატის დირექტორია ქალბატონი რუსუდან ანდღულაძე, მას სურს მეტი უკეთესობა დაეტყოს საქმეს.

– ორი წლის წინ გაიხსნა ჩვენთან ნული ჯგუფი, – მეუბნება ქალბატონი რუსუდანი, – სუსტადმხედველთა და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატებთან არსებობს სპეციალური რესპუბლიკური ბაგა-ბაღები, რომლებიც ინტერნატისთვის ამზადებენ ბავშვებს, უსინათლოთა სკოლა-ინტერნატს მსგავსი ბაგა-ბაღი არ გააჩნია (ბავშვთა სიმცირის გამო). ამიტომ ჩვენთან ნული ჯგუფიდან ეგუება ბავშვი ინტერნატში ცხოვრებას, სადაც მან თორმეტი წელი უნდა დაჰყოს.

უსინათლოებს განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ ჰუმანიტარული დარგებისაკენ, ამიტომ მომავალი წლიდან სასწავლებელი ჰუმანიტარული პროფილისა გახდება.

ინტერნატში მოსწავლეები მასაჟისტის სპეციალობასაც ეუფლებიან, მაგრამ საერთოდ ჭირს მასაჟისტთა შრომითი მოწყობა, სამედიცინო დაწესებულებები თავს იკავებენ ინტერნატდამთავრებულის სამსახურში მიღებაზე. ეს საკითხი ჯანმრთელობისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს გადასაჭრელია.

ინტერნატს აკლია ბრაილის შრიფტიანი სახელმძღვანელოები, რაც არის, ისიც უხარისხოდაა გამოცემული.

უსინათლოთა საზოგადოების გამომცემლობა „სხივის" დირექტორის ნოდარ მამაცაშვილის აზრით, კარგი იქნება, თუ უსინათლოთა საზოგადოების ფონიჭალის სასწავლო-საწარმოო წამოწყების სტამბა გადაეცემა გამომცემლობა „სხივს".

მომავალში მანქანა-დანადგარების პრობლემა ისევე დარჩება. ოცი წლის ლოდინის შემდეგ ძლივს მიიღეს მოსკოვიდან ბრაილის შრიფტიანი ორი დანადგარი, ისინი სპეცდაკვეთით დაამზადა მოსკოვის ერთ-ერთმა ქარხანამ, მაგრამ უხარისხოდ. სომხეთმა პოლიგრაფიაზე ზრუნვა ჩვენზე გვიან დაიწყო და შეძლო ვალუტით საბეჭდი მანქანების გერმანიიდან ჩამოტანა, ჩვენ კი ასე გვიჭირს... რატომ?

სასწავლებელში სიმღერა გამეფებულა... მღერიან უსინათლოები სამშობლოზე, სიყვარულზე და თითქოს ცოცხლდება დონარა ცხადიაშვილის, ზაირა გელაშვილის, ლელა ვეფხვაძის, თინათინ ბირკაძის ის ტრაგიკულომახიანი სიმღერა, რომლითაც 9 აპრილს შეეგებნენ.

ოთხივე უსინათლო ამ სასწავლებლის კედლებში სწავლობდა...

თინათინ ბირკაძე ინტერნატში მუსიკას ასწავლის. სწორედ მისი და გუნდის ხელმძღვანელის ნანა კაპანაძის დამსახურებაა, რომ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებს მიენიჭათ უმაღლესი ჯილდო „გრან-პრი".

მომავალი წლიდან მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმთან შეთანხმებით მუსიკის სწავლის თანხას ინტერნატი გადაუხდის.

პედაგოგებს და მოსწავლეებს სურთ სკოლა-ინტერნატი წმინდა ნინოს ან წმინდა ბარბარეს სემინარიად გადაკეთდეს. სწავლის უკეთესი პირობებისათვის განათლების სამინისტრომ დროულად უნდა გაიყვანოს აქედან თბილისის სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების ცენტრალიზებული ბუღალტერია. მაშინ სკოლის ეზო უცხო მანქანებისაგან განთავისუფლდება.

სასწავლებელს ამ საკითხების გადაწყვეტაში განათლების სამინისტროს ახალი ხელმძღვანელის დიდი იმედი აქვს.

სკოლა-ინტერნატი ემადლიერება უსინათლოთა საზოგადოებას, მაგრამ რადგანაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო მასაც მატერიალურად გაუჭირდა, ურიგო არ იქნება, თუ ბავშვთა ფონდი თავის მზრუნველ კალთას უსინათლოებსაც გადააფარებს. მითუმეტეს, რომ ინტერნატში სამი უდედმამო ბავშვი სწავლობს.

თამარ შაიშმელაშვილი

საქართველოს ეროვნული

სექსი — აკრძალული ხილი?

# იმპოტენცია

იმპოტენცია არის სქესობრივი აქტის უუნარობა მამაკაცებში. სამედიცინო თვალსაზრისით იმპოტენცია ცალკე დაავადებას არ წარმოადგენს. იგი რომელიმე დაავადების გამოვლენაა.

სექსოპათოლოგიაში ცნობილია სხვადასხვა სახის იმპოტენცია, რომელთა გამომწვევ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ფსიქოლოგიური, ენდოკრინული, უროლოგიური, სისხლძარღვოვანი, ნევროლოგიური, და სხვა ორგანოთა სისტემების დაავადებები, აგრეთვე, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია და ფიზიკური ტრავმები. მსოფლიოს სხვადასხვა მეცნიერთა აზრით ყველაზე ხშირად იმპოტენციის გამომწვევ მიზეზად ფსიქოლოგიური ხასიათის დარღვევებია მიჩნეული.

იმპოტენცია უმეტეს შემთხვევაში მკურნალობას ექვემდებარება, თუ პიროვნება დროულად მიმართავს ექიმ სექსოპათოლოგს, ხოლო თვითმკურნალობა შეიძლება სერიოზული გართულების მიზეზი გახდეს.

**— იწვევს თუ არა იმპოტენციას ხშირი ან იშვიათი სქესობრივი აქტი?**

— სქესობრივი აქტის სიხშირე ან იშვიათობა არ წარმოადგენს იმპოტენციის გამომწვევ მიზეზს. მამაკაცის სქესობრივი აქტიურობა უნდა შეესაბამებოდეს მეუღლის სექსუალურ მოთხოვნილებას და ხელს უწყობდეს მათ ინტიმურ ცხოვრებაში ჰარმონიულობის დამყარებას. არიან მამაკაცები, რომლებიც სქესობრივი აქტიურობის მხრივ შესაძლებლობაზე მეტ მოთხოვნილებას უყენებს საკუთარ თავს, რითაც უსაფუძვლოდ გამოაქვთ მცდარი დიაგნოზი საკუთარი სექსუალობის უკმარისობის შესახებ და საგონებელში ვარდებიან.

**— შეიძლება თუ არა ონანიზმმა — მასტურბაციამ (სქესობრივმა თვითდაკმაყოფილებამ) გამოიწვიოს იმპოტენცია?**

— არა. ონანიზმი არ წარმოადგენს იმპოტენციის მიზეზს, რადგან ბიოლოგიური თვალსაზრისით ის არ არის ზიანის მომტანი და იმპოტენციის შემთხვევაში პიროვნებამ ეს არ უნდა დააბრალოს მოზარდობის პერიოდის (ფიზიოლოგიურ) ონანიზმს



როდენი „რომეო და ჯულიეტა"

**— ორსულობის თავიდან ასაცილებლად შეწყვეტილი სქესობრივი აქტი შეიძლება თუ არა იყოს იმპოტენციის მიზეზი?**

— შეწყვეტილი სქესობრივი აქტი არ იწვევს იმპოტენციას, მაგრამ დროთა განმავლობაში, თანდათან უარყოფითად მოქმედებს მეუღლეთა ინტიმურ ურთიერთობაზე, რადგან შეწყვეტილი სქესობრივი აქტი ძაბავს მამაკაცის ყურადღებას, ანელებს აგზნებადობას, და სიამოვნების განცდას, რასაც ზოგჯერ შესაძლოა მოჰყვეს ნერვიული სახის იმპოტენცია. გარდა ამისა, ქალსაც უყალიბდება სქესობრივი აქტის არასრულფასოვნებისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რაც თავისთავად მის ნერვიულ სისტემაზეც სტოვებს კვალს...

შეწყვეტილი სქესობრივი აქტი ყველაზე ნაკლებეფექტური ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებაა, ამიტომ, უმჯობესია მედიცინაში მიღებული ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება.

**— რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ქალის სექსუალურ „სიცივეს" ცოლქმრულ ურთიერთობაში?**

— ქალის სექსუალური „სიცივე" უარყოფითად მოქმედებს მამაკაცის პიროვნებაზე და მის სექსუალობაზე. დროთა განმავლობაში ჩრდილავს ცოლქმრის ინტიმურ ურთიერთობას და შესაძლოა სექსუალურად ჯანმრთელი მამაკაცი უუნარობამდე მიიყვანოს. თუ ქალმა დროულად არ მოიწადინა მდგომარეობის გამოსწორება პირადი მონდომებით თუ ექიმის რჩევა-დარიგებით, შესაძლოა დაინგრეს ოჯახი ან მამაკაცმა თავს „უშველოს" ღალატით.

**— არსებობს თუ არა წამალი იმპოტენციის სამკურნალოდ?**

— შეგახსენებთ, რომ იმპოტენცია არ არის ცალკე დაავადება და რადგან იგი რომელიმე დაავადების სიმპტომია, ამიტომ უნდა ვუმკურნალოთ იმპოტენციის გამომწვევ დაავადებას. **ცალკეულად იმპოტენციის წამალი არ არსებობს!**

რედაქციაში შემოსულ შეკითხვებს უპასუხა ექიმმა სექსოპათოლოგმა

**ᲓᲐᲕᲘᲗ ᲠᲝᲒᲐᲙᲘᲫᲔ**

სექსი — აკრძალული ხილი?

# ჰოი ჩემო ბედის ვარსკვლავო




23 ივლისი — 23 აგვისტო

მე-5 ნიშანი ზოდიაქოსი, მე-2 ცეცხლოვანი ნიშანი. მე-2 მუდმივი ნიშანი. ბედნიერი რიცხვი 1 და 11. ასტროლოგიური ფერები: ალისფერი, მოყვითალო-მოყავისფერო, მეწამული და შავი. ასტროლოგიური ქვები: ალმასი, ლალი, ტოპაზი.

როდესაც ცის მბრძანებლები ზოდიაქოს 12 ნიშნისათვის თავიანთი სამსახურის გასაწევად შეიკრიბნენ, ალბათ, ყველაზე კარგ გუნებაზე მაშინ ბრძანდებოდნენ, როცა ჯერი მიდგა ლომის ნიშანზე. აქ გამოიჩინეს კიდეც სიუხვე მის მიმართ. მათ რომ ლომისათვის პლანეტა მზის მართვის გარდა არაფერი მიეცათ, ლომი მაინც მთელი სიცოცხლე ღმერთების მადლობელი დარჩებოდა. მაგრამ ღმერთებმა ამ დღეს იმდენი გულმოწყალება გამოიჩინეს, რომ ლომი მუდმივ ნიშნად გამოაცხადეს და სტაბილურობითაც დააჯილდოვეს. ამით გამოხატეს თავიანთი სურვილი დახმარებოდნენ ლომს ხელისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. შემდეგ ღმერთებმა გადაწყვიტეს, რომ ლომი იქნებოდა ცეცხლოვანი ნიშანი და იგი ენერგიით, გულკეთილობით და სითბოთი აავსეს. ბოლოს კი, ყველა ღმერთი შეთანხმდა მიეცათ ლომისათვის ჰოროსკოპის მე-5 სახლის მართვის უფლება, რომელიც სიყვარულსა და თეატრს განაგებს. მაგრამ ერთ-ერთი ღმერთი უკმაყოფილო დარჩა სხვების საქციელით. დაწყევლა ლომი და ზომაზე მეტი პატივმოყვარეობა და სიამაყე დაანათლა, (ეს, რა თქმა უნდა, ნაკლად ეთვლება ლომს).

ლომის ნიშნის ადამიანები გულთბილები, მეგობრულები და მგრძნობიარენი არიან, თუმცა გრძნობების ზერელობაც ახასიათებთ. არცერთ სხვა ნიშანს არ შეუძლია ისე გულგრილად და სამუდამოდ მიატოვოს საყვარელი, როგორც ლომს.

ისინი დიდ სიმაღლეებს იპყრობენ და ეკონომიკურ წარმატებებს აღწევენ. მაგრამ ხშირად ვერ იყენებენ ამ ძალებს იმის შიშით, რომ ადამიანებს წარმოდგენა არ წაუხდეთ მათზე.

სიყვარულის ეკონომიკის თამაშის დროსაც კი ლომები თავიანთ უნარს ბიზნესისაკენ წარმართავენ და ამიტომაც ხშირ შემთხვევაში კარგი მეუღლეები არიან. ისინი თავიანთ საყვარლებს აგრძნობინებენ, რომ არ დაანგრევენ ოჯახურ სიმყუდროვეს. ლომებს თავი დიდსულოვნებად მოაქვთ და ამიტომ ყველასგან მოითხოვენ სიყვარულს. არ სურთ წაიხდინონ ავტორიტეტი და ხალხში შეურაცხყოფას ცოლებსაც ვერ პატიობენ, ხშირ შემთხვევაში ამ მიზეზით შორდებიან კიდეც. ლომის გულის მოგება ადვილია სიყვარულით და ალერსით.

ამ ნიშნის ქალებს ძალიან სიამოვნებთ, როცა ანგელოზებად მიიჩნევენ და მათი სიყვარულით იწვიან. ხოტბა და სიყვარულის გამჟღავნება ლომ მამაკაცებსაც ძალიან უყვართ, (თუნდაც ეს სიცრუე იყოს).

ქალ ლომებს ფიქრიც არ უნდათ მეტოქეებზე, პარტნიორებად კი მოსწონთ ლაზათიანი მამაკაცი. ამ ნიშნის ქალები დიდ ყურადღებას აქცევენ საკუთარ ჩაცმულობას, რის წყალობითაც მომხიბვლელები და ქალურები ხდებიან. ხმარობენ მხოლოდ საუკეთესო სუნამოს, თანაც ზომიერად. ასევე უყვართ კარგი ჩაცმა ლომ მამაკაცებსაც, რისთვისაც არაფერს არ იშურებენ. ფუფუნება, ინტიმი, სასიამოვნო მუსიკა — ყველაზე ჯიუტი ლომის წინააღმდეგობასაც კი ძლევს.

28,5 წლამდე ლომისთვის საუკეთესო პარტნიორებია ვერძი და მშვილდოსანი. 28,5 წლის შემდეგ ლომები ისწრაფვიან უფრო ზომიერი ცხოვრებისაკენ, ურთიერთობების დამყარებისაკენ, პრაქტიკულობისაკენ.

ამ პერიოდში ისინი კარგად ეწყობიან თხის რქას და ყურადღებას არ აქცევენ მის კულტურას და აღზრდას.

41,5 წლის შემდეგ ლომი შეიძლება შეეთვისოს ტყუპებს, რომლებიც აჯილდოებენ მას თავიანთი ინტელექტით. ამ ასაკის ლომები უკვე სულიერად დახვეწილნი და ნაკლებად პატივმოყვარენი ხდებიან და აღწევენ თავიანთი ინტელექტუალური განვითარების უმაღლეს საფეხურს. ახლა ისინი ბევრ საერთოს პოულობენ სასწორთან და მორიელთან. შერწყმა „სასწორი-ლომი" — განთქმული ასტროლოგიური დუეტია, იმიტომ, რომ სასწორი ყოველთვის ცდილობს ასიამოვნოს ლომს. ერთად ისინი ქმნიან „დუეტს „ყმა პატრონი". ხოლო შეხამება „მორიელი—ლომი" შესაძლებელია მხოლოდ მაღალგანვითარებულ ტიპებში. მაგრამ როცა კი ისინი შეგხვდებათ, უფრთხილდით მათ. ეს არის ნამდვილი ძალაუფლება და ინტელექტი, შემოქმედებითი შერწყმა იმპერატორისა და მისი მეუღლის!

უცხოური იუმორი

## სიფრთხილეს თავი არ სტკივა

— მე ჩემს ცოლს მეტად საინტერესო ვითარებაში გავეცანი: მანქანით მივდიოდი და დავეჯახე. მერე საავადმყოფოში მივიყვანე და როდესაც გამოჯანმრთელდა, დავქორწინდით.

— ეჰ, მძღოლებმა რომ იცოდნენ, რა საბედისწერო შედეგები მოსდევს საგზაო კატასტროფებს, უფრო ფრთხილად და გონივრულად ივლიდნენ.

## დაზნევა

მოხუც ქალს მანქანა დაეჯახა. სასამართლო პროცესზე საქმის გარჩევისას დაზარალებულმა განაცხადა.

— გამოვედი ქუჩაში თუ არა, მაშინვე თვალი მოვკარი ავტოში ამ მძღოლს. მარცხნივ გავუხვიე —ამანაც მარცხნივ მოატრიალა მანქანა. მარჯვნივ გავიქეცი — ესეც მარჯვნივ შემობრუნდა. ბოლოს კარის მინა ჩამოუშვა და მომაძახა: „ქალბატონო, ეშმაკმა დალახვროს, გაჩერდით ერთ ადგილას!" მე გავჩერდი, და იქვე დამეჯახა.

## კონცერტზე

— შეხედე, მეექვსე რიგში კაცს სძინავს,— — ხელი წაჰკრა ინეზამ ქმარს. — მერედა, მაგის გულისათვის გამაღვიძე?! — აღშფოთდა ქმარი.

გერმანულიდან თარგმნა
შოთა ამირანაშვილმა

უცხოური იუმორი

# ო, როგორ გვაკლიხართ, ქალბატონო ნინო!



ულმობელი დრო მიჰქრის და თან მიაქვს ბევრი რამ. რა ვქნათ, უძლურნი ვართ მოკვდავნი ბუნების ამ წესში რაიმე შევცვალოთ. ბოლოს და ბოლოს ყველა გზა იქით... შეუცნობელისაკენ მიდის. მაგრამ ერთში კი ვერ გვჯობნის ულმობელი დრო — ვერ გვართმევს ხსოვნას, ხსოვნას დიდებული ადამიანისა, უფრო სწორად, მისი დიდი ადამიანობისა. თურმე სიკეთე უკვდავია. სიკეთე სიყვარულია.

ამ სიყვარულმა მიიყვანა ზღვა ხალხი ივნისის ერთ საამურად გრილ საღამოს ქალბატონ ნინო ჟვანიას საფლავთან. მისი გარდაცვალების წლისთავზე. ძნელი იყო გზა გაგეკვლია და მინდვრის ყვავილის კონა დაგედო საფლავზე.

ჯგუფ-ჯგუფად, წყნარად, თვალში ცრემლჩამდგარი სევდიანი ღიმილით იგონებდნენ ადამიანები ნინო ჟვანიას სიკეთეს, მის ტკბილ ტუქსვას, ოთარაანთ ქვრივივით ქოქოლას რომ მიაყოლებდა თუ ვინმე სიკეთის ქმნას აგვიანებდა და გაჭირვებულს დროზე ხელს არ უწვდიდა.

ერთხელ მაინც გეთქვათ საყვედური იმაზე, ვინც ტანჯვა გარგუნათ. არა. ბოროტება სიკეთით უნდა მიუზღოო, — ამბობდით.

ო, როგორ აკლიხართ თბილისს და ჩვენს გულებს, თაფლის სანთელივით დამდნარო დიდო ქალბატონო!

## მოგონებანი გარდასულ დღეთა

# ზუბალაშვილთა შთამომავალი

ქალბატონი ტასო ზუბალაშვილი იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მბჟუტავ ნაპერწკლებად აქა-იქ ანთია. მათ ძველი, დახვეწილი ინტელიგენციის, გარდასულ დღეთა სუნთქვა და ხიბლი მოიტანეს ჩვენამდე. ქველმოქმედებით გამორჩეულ ზუბალაშვილთა უკანასკნელ შთამომავალს უმდიდრესი და უკეთილშობილესი ოჯახიდან მოგონებებიღა შემორჩა. ქალბატონი ტასო თბილისში ცხოვრობს. იგი ცნობილი ქიმიკოსის, აწ გარდაცვლილი პროფესორის ვიქტორ კოკოჩაშვილის მეუღლე გახლავთ, ორი ქალიშვილის დედა და სამი შვილიშვილის ბებია. გთავაზობთ მასთან საუბარს.



ტასო ზუბალაშვილი

## ზუბალაშვილები

ზუბალაშვილების გვარში პირველი ქველმოქმედი იაკობი იყო. მას ეკუთვნოდა პირველი შაქრის ქარხანა საქართველოში, რომელიც თბილისში, პეტრიაშვილის ქუჩაზე, ახლანდელი ღვინის ქარხნის ადგილას მდებარეობდა.

იაკობს სამი ვაჟი ჰყავდა, რომლებსაც ნავთობის უმდიდრესი საბადოები ეკუთვნოდათ კასპიის ზღვაში. მათი შთამომავლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კონსტანტინე ზუბალაშვილის ვაჟები: სტეფანე, ლევანი, ნიკოლოზი და იაკობი. ყველაზე ცნობილი ქველმოქმედი გახლდათ სტეფანე, რომელიც 44 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ მაინც ბევრი სიკეთის გაკეთება მოასწრო.

ზუბალაშვილების აგებულია თბილისის, ბათუმის, ახალციხის და გორის ულამაზესი კათოლიკური ეკლესიები. მათი სტიპენდიით მრავალმა ქართველმა უცხოეთში მიიღო განათლება. ამ უკანასკნელთა შორის იყვნენ გერონტი ქიქოძე და ალექსანდრე ჯანელიძე. მათი ხელშეწყობით ვატიკანში მუშაობდა და თავის შრომებს გამოსცემდა მიხეილ თამარაშვილი.

თბილისში ბევრი საუკეთესო შენობა ზუბალაშვილების ხელთქმნილია. ისინი მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის აშენებაშიც. მათი სახსრებით არის აგებული დღევანდელი მარჯანიშვილის თეატრის შენობა. აქ გაიხსნა სახალხო სახლი ბიბლიოთეკით და უფასო სასადილოთი. მოგვიანებით შენობა თეატრად გადაკეთდა, სადაც ზუბალაშვილებს საკუთარი ლოჟაც კი ჰქონდათ (მარჯვნიდან მეორე). ზუბალაშვილების აშენებული გახლავთ თბილისის პირველი საავადმყოფოს მეორე კორპუსი, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა ბავშვებს. არამიანცმა მხოლოდ ერთი კორპუსი ააგო და მიჰყიდა ქალაქს.

ბევრი კეთილი საქმე უკეთებიათ ზუბალაშვილებს ბაქოშიც. საგულისხმოა, რომ ისინი კარგი მეწარმეები იყვნენ. მუშები ადმერთებდნენ მათ მუშაობისა და ცხოვრების საუკეთესო პირობების შექმნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– მერე ეს დიდი საგვარეულო თანდათან დაიფანტა, ზოგი უშვილოდ გადაეგო, ზოგი ბოლშევიკთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მეორე მსოფლიო ომის დროს, პარიზის გან-თავისუფლებისას დაიღუპა ჩემი ერთადერთი ძმა, ანტონი, რომელიც ჩვიდმეტი წლისა ნოე ჟორდანიასთან ერთად წავიდა საფრანგეთში. 1950 წელს გარდაიცვალა მამაჩემი დავითიც, რომელიც 1917 წლამდე უძღვებოდა ზუბალაშვილების ნავთობის სარეწებს. იგი ალბათ მხოლოდ იმიტომ გადაურჩა რეპრესიებს, რომ საბანკო საქმის იშვიათი სპეციალისტი გახლდათ და ძალიან სჭირდებოდა კომუნისტებს. – აგრძელებს საუბარს ქალბატონი ტასო.

მახსოვს რუსის ჯარის შემოსვლა თბილისში. ისინი კოჯრის გზით შემოვიდნენ, ჩამოუყვნენ დავითაშვილის (ადრინდელი ვოზნესენსკის) ქუჩას... სხვათა შორის, ამ ქუჩის ბოლოში, კოჯრის გზის დასაწყისში რევოლუციამდე ზუბალაშვილებს ჰქონდათ უფასო სასადილო ღარიბთათვის. ახლა მის ადგილას რესტორანია, რომელსაც მხოლოდ სახელი შემორჩა უწინდელი – „სამადლო".

რუსის ჯარის შემოსვლასთან დაკავშირებით მამამ ერთი კურიოზი მიამბო. გაჭირვების დროს ლობიანი პურების ნაცვლად ლობიანი მჭადები იყიდებოდა. რუსებს შოკოლადიანი ბისკვიტი ჰგონებიათ. მამას ესმოდა თურმე აღშფოთებული ოფიცრების შეძახილები: ჩვენ შიმშილით ვიხოცებით და ქართველები შოკოლადიან ბისკვიტებს ხეთქავენო...

ცუდად იქცეოდნენ რუსები. სულ დაარბიეს და გააპარტახეს უწინდელი ათარბეგოვის (დღეს ძმები ზუბალაშვილების) ქუჩის მახლობლად მდებარე უპოვართა სახლი, რომელიც ნიკოლოზ ზუბალაშვილმა დაარსა. ეს გახლდათ ულამაზესი სამხართულიანი შენობა, უზარმაზარი ფანჯრებით, ნათელი ოთახებით, საუცხოო პარკეტით. აქ შეეძლო მისვლა ყველა მარტოხელა გლახაკს, რომელსაც დაბანდნენ, ჩააცმევდნენ, უმკურნალებდნენ, აჭმევდნენ. წარმოიდგინეთ, მათთვის საგანგებოდ იყო გამოწერილი ჰოლანდიური ტილოს თეთრეული. სხვებთან ერთად აქ ცხოვრობდა სნეული მოხუცი პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის მასწავლებელი ალექსანდრე ცაგარელი. ნიკოლოზმა (მამაჩემის ბიძა გახლდათ) ეს სახლი ქალაქს აჩუქა და მადლიერმა თბილისელებმა გარდაცვალების შემდეგ მას მწვანე მარმარილოს ბიუსტი დაუდგეს თავშესაფრის ფოიეში.

რუსის ჯარისკაცებს ეს შენობა ბურჟუას საცხოვრებელი სახლი ეგონათ. აგერ თავისთვის ძეგლიც დაუდგამსო და თოფს ესროდნენ თურმე. სანამ აქოშინებული დარაჯი ჩვენთან მოვარდა და მამაჩემს შეატყობინა, ბიუსტი ნამსხვრევებად აქციეს. ამ ბიუსტის ფოტო ახლაც უნდა იყოს შემონახული თბილისის პრეფექტურის არქივში და იქნებ ვინმემ იზრუნოს მის აღდგენაზე.

## ბაგრატიონები

– ჩემი მშობლები ძალიან ახლოს იყვნენ საქართველოს ტახტის მემკვიდრის, გიორგი ბაგრატიონის ოჯახთან. მე თავად მისი ნათლული გახლავართ. მამაჩემისაგან მომისმენია გიორგი ბატონიშვილის ცხოვრების ერთი ეპიზოდი:

რევოლუციამდე მაქსიმ გორკი და თედორე შალიაპინი ერთად „მაწანწალობდნენ" და თბილისსაც მოაღწიეს. ერთხელაც მტკვრის პირას თევზაობდნენ და პოლიცია დაადგა თავს. სტაცეს ხელი და წაიყვანეს. ამას ხედავდა თურმე გიორგი ბატონიშვილი. იგი დაინტერესდა და უკან გაჰყვა. შალიაპინს თავდებად ერთი თბილისელი მუსიკოსი დაუდგომია. მაქსიმ გორკის კი – გიორგი ბაგრატიონი. შემდეგ გიორგიმ გორკი ლორის-მელიქოვის (დღევანდელი კეცხოველის) ქუჩაზე მდებარე საკუთარ სახლში წაიყვანა, ერთი ოთახი დაუთმო და მწერალი მთელი წელი ამ სახლში ცხოვრობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ბატონიშვილი ცოლ-შვილით ემიგრაციაში უნდა წასულიყო. გაუჭირდათ ვიზის აღება. გორკიმ მთელს ოჯახს უშოვნა ვიზა.

წასვლის წინ გიორგი ბატონიშვილის მეუღლემ – ელენემ გადაწყვიტა სამახსოვროდ ბალ-მასკარადი გაემართა ბავშვებისათვის.

თვალს ვხუჭავ და წარმომიდგება ულამაზესი ყმაწვილი, აწ გარდაცვლილი ირაკლი ბატონიშვილი. მას პრინცის ცისფერი სამოსი და თეთრი გეტრები ეცვა, თავზე კი სირაქლემის ფრთიანი ბერეტი ეხურა. მე მაშინ 10-11 წლისა ვიქნებოდი. თავი მომწონდა ქართული კაბით, სარტყლითა და ჩიხტაკოპით... ამ ბალ-მასკარადის შემდეგ ერთ კვირაში გაემგზავრნენ კიდეც.

ესაუბრა თამარ წილოსანი



იაკობ ზუბალაშვილი



პეტრე ზუბალაშვილი



სტეფანე ზუბალაშვილი



ლევან ზუბალაშვილი



მარიამ ზუბალაშვილი



დავით ზუბალაშვილი



ანტონ ზუბალაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**პიროვნების თავისუფლება ავხორცობის თავისუფლებას როდი ნიშნავს, ნარკომანიისა და პროსტიტუციის მსგავსად ისიც პათოლოგიაა და მკურნალობა სჭირდება.**

# ვენერას შავი ყვავილები

შორეულ წარსულში ადამიანის ბუნებაზე ერთ-ერთი პირველი გამარჯვება იყო ცხოველური მძუვნობის დაძლევა და სიყვარულის ტკბილ-მწარე ნექტარს დანაფება. თანდათან ჩაისახა ოჯახის პირველადი ფორმები. სისხლით ნათესაობის შეგნებამ გვარი წარმოშვა და კაცობრიობა გაცნობიერებული ცხოვრების უღელში შეება. მაგრამ, კეთილისა და ბოროტის საბედისწერო ჭიდილმა მაშინვე იჩინა თავი; სიყვარულს ეჭვიანობა მოჰყვა, ღალატი, ღალატს — შურისძიება და ა. შ. შურისძიების გამო დაღვრილი სისხლით უანბანოდ და უმწერლობოდ დაიწერა ყოფიერების პირველი სასტიკი რომანები. ბუნებრივი გულუბრყვილო მძუვნობა არაბუნებრივმა სოდომმა და გარყვნილებამ შეცვალა, დამწყებ კანონმდებელს სქესობრივი ანომალიების აღმოსაფხვრელად ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა დასჭირდა, თუმცა, ბიწიერი დანაშაული სიკვდილით დასჯამაც ვერა და ვერ მოსპო. გონების მქისე უკულმართობამ ზოგიერთს სულიც დაუმახინჯა და სხეულიც. და აჰა, ანაზდეულად ასპარეზზე გამოდის მეძავი, „ყველას გამხარებელი, სასურველი, მხიარული როსკიპი". თითქოს დილემა გადაიჭრა, ნაყოფიერების კულტმა იმძლავრა, ახალი პატივი შეიძინეს ძალიან ადრე ღმერთებად აღიარებულმა ადამიანის სასქესო ორგანოებმა. სად აღარ იდგმებოდა მათი გრანდიოზული გამოსახულებანი, დღესაც რომ ასე უხვად შემონახულან მსოფლიოს მუზეუმებში.

ერიჰაა, ახლა მართლა გაწყრა ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც ადამიანის სხეულის სიცხოველეს სულიერ სისპეტაკეში აზავებდა, რათა ნამდვილი ადამიანი მიეღო, გაწყრა და თავისი ურჩი, ნებიერი შვილები აღვირახსნილობისათვის ვენერიული სნეულებებით დასაჯა. ღვთის რისხვა ყველა თავშეუკავებელსა და სულწასულს დაატყდა და ცივილიზაციის საწყისებიდან დღემდე ისინი ვენერას შავი ყვავილებით იშხამებიან და იტანჯებიან.

აქამდე მთელ მსოფლიოს ვარწმუნებდით, სიყვარულზე დამყარებულ საბჭოთა ოჯახს საყოფაცხოვრებო მანკიერებანი არ ახასიათებსო, დაოჯახება ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა და რაიმე გადახრას სოციალისტური წყობილების არსი გამორიცხავსო. ამ ქადაგების მიუხედავად, აღმოჩნდა, რომ „საბჭოთა ოჯახის სიწმინდე" ხშირად ირღვევა, საკმაოდ მაღალია გაყრათა რაოდენობა, ადგილი აქვს პათოლოგიურ და ანგარებით გარყვნილობას, ზნედაცემულობას.

მდგომარეობიდან გამოსასვლელად ძველი გამოცდილებიდან უპირველესად ერთი ჭეშმარიტება უნდა გავითვალისწინოთ, სახელდობრ მისწრაფება ოჯახის შექმნისა და გამრავლების უზრუნველყოფისათვის. ქართველი ხალხის ყველა სასიცოცხლო აუცილებლობა ამ კეთილშობილურ მიზანს ემსახურებოდა და ისტორიის სისხლიან ქარტეხილებს ამიტომ გადაურჩით. დღეს მდგომარეობა შეიცვალა, ოჯახის შექმნის ტრადიციული სისტემა თითქმის აღარ მოქმედებს, ხოლო ჯერჯერობით ახალი თანამედროვე ვერაფერი დავნერგეთ. აქედან გამომდინარე, შინაბერათა და ბერბიჭათა რიცხვმა ყველა მოსათმენ ზღვარს გადააჭარბა. ამ მტკივნეულ თემაზე ცალკე საგანგებოდ ვრცლად ღირს საუბარი, ხოლო ამჯერად დავძენთ, რომ უზნეობის ერთ-ერთი დამღუპველი ფესვი სწორედ აქაა საგულვებელი. ზოგიერთი ჩვენი ქალიშვილი და ჭაბუკი ცინიზმამდე მივიდა, მათ არ აკმაყოფილებთ ოჯახური იდილია, „ჭუჭყიანი საცვლების რომანტიკა", წინასწარ შეიჯავრეს შვილის გაჩენისა და გაზრდისათვის გარჯა. რა ენაღვლებათ, მათ ყველაფერი მზამზარეული აქვთ, დედიკოები და მამიკოები არაფერს აკლებენ, და აი, გაზულუქებული გუგულის ბარტყები ნარკომანიისა და პროსტიტუციისათვის მომგებიანი მასალაა. „გოიმობაა" ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე აღზრდა, დედობასა და მამობაზე ფიქრი, უანგარო სიყვარულით ოჯახის შექმნა; „გოიმობაა" შვილების გაჩენა, ცოლქმრული ერთგულება.

ტრადიციული საოჯახო აღზრდა, დედობასა და მამობაზე ოცნება მოზარდი თაობის უპირველეს ამოცანად რომ გვექცია, მაშინ გარყვნილების მღვრიე მდინარე მნიშვნელოვნად დაიწმინდებოდა. ყველა გრეტას (თბილისელი მეძავი, რომელმაც სამი წლის წინათ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" სენსაციური ინტერვიუ მისცა) გასაგონად, ხმამაღლა, დაბეჯითებით უნდა ვთქვა: პიროვნების თავისუფლება ავხორცობის თავისუფლებას როდი ნიშნავს. ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის მსგავსად ავხორცობაც ავადმყოფობაა, პათოლოგიაა და მას მკურნალობა სჭირდება. რა თქმა უნდა, ამისათვის სამედიცინო სამსახური მზად უნდა იყოს.

ბოლო ხანს, როგორც იტყვიან, „ნავსი გატყდა" და ყოფაში საჩოთირო დაავადებების ანონიმური მკურნალობა მკვიდრდება, ასეთი ნაბიჯი უსათუოდ გაამართლებს. ახლა, როცა კაცობრიობას შიდსის საშინელი საფრთხე დაემუქრა და როგორც უკვე ხატოვნად ითქვა — პანდემიისათვის საზღვრები არ არსებობს, ხელი უნდა ავიღოთ ძველ მეთოდებზე და ყველა მოწინავე ქვეყნის გამოცდილება გავიზიაროთ. დღეს უკვე ვეღარ შევურიგდებით იმ გარემოებას, რომ ჩვენში შემთხვევითი კავშირები ყოველგვარი სამედიცინო კონტროლის გარეშე მიმდინარეობს. სწორედ ამიტომ ე. წ. „კლასიკური ვენერიული სნეულებანი" საკმაოდ ბარტყობს და ძალიან შემაშფოთებელი სტატისტიკა გვაქვს. თითო-ოროლა „დამორცხვებული სტატია", დარგის სპეციალისტთა ხანგამოშვებით გოდება, ბუნებრივია, ამინდს ვერ შექმნის. აქ ეროვნულ დონეზე გააზრებული დახვეწილი სტრატეგიაა საჭირო.

ქალისა და კაცის ჯანსაღ, უანგარო, ურთიერთმისწრაფებას, ზნეობრიობის ფარგლებში, ყოველმხრივ უნდა შეეწყოს ხელი, ხოლო პათოლოგიურ გადახრებს თანამედროვე მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით ვუმკურნალოთ. თუ ამას მივაღწევთ, მაშინ არცერთი პანდემია დამღუპველი აღარ იქნება. მაშასადამე, კვლავ მივადექით ურთულეს და დაუძლეველ პრობლემას — ახალგაზრდობის სქესობრივ აღზრდას. სიცოცხლის საყოველთაო კანონია შთამომავლობის წარმოშობა, რისთვისაც სქესი არსებობს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ზოგიერთმა დაივიწყა და წამიერი მაცდუნებელი სიამოვნების მიღმა ვერაფერს ხედავს, თითქოს დრო გააჩერაო, ჰგონია მარად ახალგაზრდა იქნება. ადამიანური ვალი არასოდეს ბიწიერებით არ გაზომილა, პატიოსნება, ცოლქმრული ერთგულება, მამულიშვილური აღზრდა იყო ქალობისა და კაცობის უმაღლესი გვირგვინი. სანამ კაცობრიობა იარსებებს, ამ უბრალო და უტყუარ სიბრძნეს ჩრდილი არ მიადგება!

**ლევან ფრუიძე,**
ეთნოგრაფი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნუ დავკარგავთ ძველსა გზასა

# მარხვა იმერეთში

„**მარხულობა** იგი არს, ოდესცა განწესებულთა დღეთა, ანუ საკანონოსათვის რაოდენ დღე მარხულობითა ვიმარხვიდეთ და დღიურ ერთგზის ვჭამდეთ. ხოლო კოლვიზმა (გარდადგომით მარხულობა) მარხულობა ძლიერ ხორცთა ქეჯნისათვის" (სულხან-საბა ორბელიანი).

წლის განმავლობაში იყო 4 მარხვა. თითოეულს მათგანს ჰქონდა თავისი წესი, ყველა მორწმუნე იცავდა ამ წესს.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ცხოველურ საკვებს ბევრად უფრო ნაკლები გამოყენება ჰქონდა, ვიდრე დღეს. ხორციელი კერძები მზადდებოდა დღესასწაულების ან სტუმრიანობის დროს, იშვიათად — საველე სამუშაოების პერიოდში. ძირითადად იყენებდნენ რძის პროდუქტებს და მცენარეულ საკვებს. ყოველთვის ოთხშაბათსა და პარასკევს ინახებოდა მარხვა. თუ ამას დავუმატებთ მოკლესა და ხანგრძლივ მარხვებს, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა წლის 1/3 პერიოდში მარხული იყო, ალბათ ამან განაპირობა სამარხვო საჭმელების მრავალფეროვნება იმერეთში. მიუხედავად იმისა, რომ სამარხვო საჭმელი იყო მხოლოდ მხალეული, ბოსტნეული და ხილი, ისიც სეზონების მიხედვით ცვალებადი, მაინც მრავალმხრივი იყო მათი მომზადების ხერხები; სამარხვო კერძები მზადდებოდა ზეთით, ნიგვზით, თაფლით. კეთდებოდა სხვადასხვა მწნილეული და ჩირი.

მარხვას წელიწადში ოთხჯერ ინახავდნენ:: დიდი მარხვა, შობის მარხვა, მარიამობისა და პეტრე-პავლობის მარხვა.

წმ. მოციქულთა მარხვის ძირითადი საჭმელი იყო ფხალი და ცერცვი ზეთით შეზავებული, ყველი (ნაწველი საერთოდ) არ იჭმებოდა, ხოლო თუ თევზი იქნებოდა, მხოლოდ შაბათ-კვირას. კეთდებოდა ორი სახის კერძი: ერთი ზეთით, ხოლო მეორე ნიგვზით ან თაფლით. ოთხშაბათსა და პარასკევს არავინ სვამდა სნეულების გარდა.

საუფლო და წმინდა ღვთისმშობლის დღესასწაულებზე, წმ. ნათლისმცემების და მთავარანგელოზის დღეს უფლება ჰქონდათ ეჭამათ თევზი და შეესვათ ღვინო სამი ჭიქა სამხრად და 2 ჭიქა — სალამოს ვახშმისას.

ქრისტეშობის მარხვის დროს კი დღის სიმოკლის გამო მხოლოდ ერთხელ ჭამდნენ — სალამოს ლოცვის შემდეგ. ასევე წმინდანების დიდი მარხვების დროს ერთხელ ვახშმობდნენ გარდა შაბათ-კვირისა. პირველი კვირის ორშაბათსა და ოთხშაბათს სუფრა არ გაიშლებოდა, რადგან ყველანი მარხულობდნენ სნეულების გარდა, სამშაბათსა და ხუთშაბათს კი გააწყობდნენ სამარხვო სუფრას: პურით, მწნილითა და ჩირის ნახარში წვენით.

წმინდისა და დიდი აღდგომის კვირა-შაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს პურისა და ცერცვის მეტს არაფერს ჭამდნენ. შუა მარხვაში კვირის მანძილზე ინახავდნენ შვიდეულს. დღეში შეიძლებოდა ორი ვაშლის ჭამა და წყლის დალევა. ის, ვინც არ იმარხულებდა, შაბათს აკეთებდა საკურთხს, მიქონდა ეკლესიაში და იღებდა ზიარებას. ზიარების წინ ჭამა არ შეიძლებოდა, ხოლო ზიარების შემდეგ ჭამდნენ სპეციალურად გამომცხვარ სეფისკვერებს — ჩაფშვნილს ღვინოში, რასაც ბოლღინწოს ეძახდნენ. ამის შემდეგ მარხვა კვლავ გრძელდებოდა. დიდ ხუთშაბათს ჭამდნენ ზეთით შერეულ ორ კერძს და სვამდნენ სამ ჭიქა ღვინოს. დიდ პარასკევს კი პურს და მოხარშულ (ზოგჯერ უმ) ფხალს ღვინის გარეშე. დიდ შაბათს (თუმცა ხალხში პატარა შაბათით იხსენიება ეს დღე) ყველა ემზადებოდა სააღდგომოდ. ამ დღეს იკვლებოდა ბულა ან ქათამი, ცხვებოდა სეფისკვერები, იღებებოდა კვერცხები. ამ საქმიანობაში ისე შემოათენდებოდათ ხოლმე, რომ ვერც გებულობდნენ და ამიტომაც „პატარა შაბათი" შეარქვეს. ამ დღეს პირველად შეიძლება საქონლის დაკვლა და სისხლის დაღვრა, ეკლესიაში კი მთელი დღე და ღამე იყო ლოცვა. თორმეტ საათზე იწყებოდა ზარების რეკვა და ღამისმთევლების წასვლა ეკლესიაზე: „ქრისტე აღსდგა! გვიხაროდენ! მადლი მახარობელსო ქრისტიან გვიხაროდენ..."

**ნინო აბდუშელიშვილი**



# კულინარია კულინარია

ვიდრე ბავშვისათვის კერძის მომზადებას დაიწყებთ, უნდა დაადგინოთ პროდუქტების ვარგისობა (ხარისხი) ფერით, სუნით, გარეგნული შესახედაობით, გემოთი.

ხარისხიანი ხორცი გაჭრისას შიგნიდან თითქმის მშრალია და თითის დაჭერით წარმოქმნილი ფოსო სწრაფად ამოიწევს და გასწორდება.

ახალი ხორცით მომზადებულ ბულიონს აქვს სასიამოვნო სუნი და გემო, ასეთ ბულიონში ცხიმი მსხვილი წვეთებივით ცურავს.

ხორცის სუნის ზუსტად დასადგენად გაახურეთ დანა ან ჩანგალი, ჩაარჭვეთ ხორცში და დაყნოსეთ. თუ ხორცი უხარისხოა, დანას ან ჩანგალს არასასიამოვნო სუნი აჰყვება.

კვერცხის ხარისხი რომ შეამოწმოთ, კვერცხს ელექტრონათურის შუქზე უნდა გახედოთ, ახალი კვერცი ჩვეულებრივ მკრთალი ნარინჯისფერია, გაფუჭებულ კვერცხში კი შავი ლაქები გამოჩნდება.

ხაჭო ბავშვებისათვის მეტად გავრცელებული საკვებია, თანაც გემრიელი და სასარგებლო. თუ ხაჭოს ლამაზად მორთავთ ზაფხულში ხილით, ზამთარში მურაბით, ბავშვი მეტი სიამოვნებით და მადით შეექცევა.

სასურველია ხაჭო შინ მოამზადოთ, რადგან ახალი ხაჭო სასარგებლოა და ბავშვიც სიამოვნებით მიირთმევს. ხაჭო შეგიძლიათ მოამზადოთ შემდეგნაირად:

აიღეთ ორი სხვადასხვა ზომის ქვაბი, პატარა ქვაბში ჩაასხით რძე და ჩადგით მოზრდილ ქვაბში, სადაც წყალია ჩასხმული და შედგით ცეცხლზე. წყალი წამოდუღდება თუ არა, რძეს მაშინვე ჩაუმატეთ მაწონი და ურიეთ 10-15 წუთი, ვიდრე ხაჭო წარმოიქმნება. შემდეგ შეაგრილეთ, გაწურეთ, ორმაგ დოლბანდში და შედგით მაცივარში.

მასალა: 500 გრამი რძე, 1 ჭიქა მაწონი.

შაქრის ვაჟინი (სიროფის) მომზადება:

100 გრამ შაქარს დაასხით 200 გრამი ცხელი წყალი და ადუღეთ 10 წუთი, გაწურეთ სტერილურ მარლაში და თუ ვაჟინი 100 გრამზე ნაკლები გამოვა, დაამატეთ მდუღარე წყალი და კვლავ წამოადუღეთ 1-2 წუთი. შეინახეთ თავდახურულ ბოთლში.

მარილის ხსნარი:

25 გრამ სუფრის მარილს დაასხით 150 გრამი მდუღარე წყალი და ადუღეთ 10 წუთი, გაწურეთ სტერილურ მარლაში და შეინახეთ თავდახურულ ბოთლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხორცის წვნიანი (სუპი)

კარგად გარეცხილი ძროხის ან ქათმის ხორცი მოხარშეთ. ხორცის სრულ მოხარშვამდე ცოტა ხნით ადრე ჩაუმატეთ სტაფილო, ხახვი და ერთი ღერი ნიახური. გადარჩეული გარეცხილი ბრინჯი ჩაყარეთ 300 გრამ ადუღებულ მარილიან წყალში, შედგით ნაზ ცეცხლზე და ეცადეთ არ გადაგეხარშოთ. ოდნავ მოუხარშავი ბრინჯი გაწურეთ, ჩაუშვით გაწურულ ცხელ ბულიონში და წამოადუღეთ. კარგად გარეცხილ ოხრახუშს და კამას გადაავლეთ ანადუღარი წყალი, დაჭერით ძალიან წვრილად და ბულიონს მოაყარეთ მხოლოდ თეფშზე დასხმის შემდეგ.

მასალა: 100 გრამი ძროხის ან ქათმის ხორცი, ბრინჯი 15 გრამი, სტაფილო 10 გრამი, ხახვი 5 გრამი, წყალი 500 გრამი, ნიახური, ოხრახუში, კამა 6 გრამი, მარილის ხსნარი 5 გრამი.

## ბულიონი ფარშით (გუფთა)

კარგად გარეცხილი ძროხის ხორცი მოხარშეთ. ხარშვის დასრულებამდე 10 წუთით ადრე დაუმატეთ სტაფილო და 1-2 ღერი ნიახური, შემდეგ გაწურეთ ბულიონი, მოხარშული ხორცი, ხახვი და ცივ წყალში დამბალი გაწურული პური ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დაუმატეთ ნახევარი კვერცხი (ცილაც, გულიც) მარილის ხსნარი, აურიეთ, მოამზადეთ კაკლის სიმსხო ბურთულები, ჩააწყვეთ მდუღარე ბულიონში და ხარშეთ 10 წუთის განმავლობაში. კარგად გარეცხილი, ანადუღარ წყალგადავლებული წვრილად დაჭრილი ოხრახუში და კამა ბულიონს მოაყარეთ თეფშზე.

მასალა: ძროხის ხორცი 100 გრამი, სტაფილო 25 გრამი, ხახვი 5 გრამი, ნიახური, ოხრახუში, კამა 5 გრამი, ნახევარი უმი კვერცხი, თეთრი პურის გული 10 გრამი, წყალი 500 გრამი, მარილის ხსნარი 5 გრამი.

## ვერმიშელი ვაშლის პიურეთი

ვერმიშელი მოხარშეთ ოდნავ მარილიან წყალში, სქელძირიან ტაფას ან ქვაბს წაუსვით ცხიმი, მოაყარეთ ორცხობილას ფხვნილი, ზედ თანაბარ ფენად მოათავსეთ გაწურული ვერმიშელი, გადაუსვით ზემოდან ვაშლის პიურე, თავზე დაალაგეთ კარაქის პაწაწინა ნაჭრები და შედგით გაზქურაში 20 წუთით.

პიურესათვის დათალეთ ვაშლი, ჩაშუშეთ 2 სუფრის კოვზ წყალში 25 გრამ სიროფთან ერთად, კარგად ათქვიფეთ და გაატარეთ საცერში.

მასალა: ვერმიშელი 50 გრამი, ვაშლი 100-120 გრამი (2 ცალი), შაქრის ვაჟინი 25 გრამი (სიროფი), კარაქი 10 გრამი, მარილის ხსნარი 10 გრამი.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. მართას როლის შემსრულებელი კინოფილმში — „არსენა“. 8. ერთად დართული ორფერი ძაფი ან ძაფი და სირმა. 9. დრო, ხანი 11. ქართველი კინომსახიობი ქალი. 13. ქალის მოსახხამი. 14. ზეგანი. 15. სსრკ სახალხო არტისტი, მინიატურების თეატრის დამაარსებელი ლენინგრადში. 18. საგრილებელი. 20. ქაღალდის კონა, შეკვრა. 21. მდგომარეობა ჭადრაკის თამაშში. 22. იაპონური მარცვლოვანი ანბანი. 24. ცეცხლის დასანთები ადგილი. 25. პერუს ფულის ერთეული. 27. თანამედროვე ცეკვა. 29. მაგარი, წვეტიანი გამონაზარდი ზოგიერთი მცენარის ტანზე. 31. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული. 34. ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაული. 35. ქართული ზურთმოძღვრების ძეგლი თბილისში. 36. ფრანგი საესტრადო მომღერალი. 38. ძველებური ფრანგული ოქროსა და ვერცხლის ფული. 39. იმედი. 40. წიგნის ან ხელნაწერის გვერდების ნუმერაცია.

**შვეულად:** 2. მექსიკის, ჰონდურასისა და გვატემალის ტერიტორიაზე მცხოვრები ენობრივად მონათესავე ინდიელი ხალხების ჯგუფი. 3. თხრობითი ლიტერატურული ნაწარმოები. 4. ფრანგულად ნაქსოვი-ზოლიანი ქსოვილი. 5. უმად შეკაზმული ნიგვზის წვენი. 6. ზღაპრული შინაარსის თეატრალური ან საცირკო სანახაობა. 7. როლები, რომლებიც შეესაბამება მსახიობის თავისებურებებს, მის სასცენო მონაცემებს. 10. ტროპიკული ხე. 12. თვითმმართველობის მქონე ფეოდალური სახელმწიფოს შემადგენლობაში არსებული სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეული. 16. ფინიკიელების მთავარი ქალღმერთი, ნაყოფიერებისა და სიყვარულის მფარველი. 17. იტალიის ქალაქი. 19. ჭურჭლის გასაკეთებელი ერთგვარი თეთრი თიხა. 20. ფრანგი მსახიობი ქალი. 23. სტატისტიკური აღწერა. 26. გვაროვნული თემი ირლანდიასა და შოტლანდიაში. 28. იაპონური თეატრი. 30. საყურე, რომელიც დამჭერით მაგრდება ყურზე. 32. თაღში ან კედელში დატანებული ღიობი. 33. აფრიკის სახელმწიფო. 36. პოეტის შთაგონების წყარო. 37. ჭაობის მცენარე.

შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
99-98-71;
99-71-68

მასალები გადაეცა ასაწყობად 20. 05. 91 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 19. 07. 91 წ. ქაღალდის ზომა 80 × 90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,8. ტირაჟი 95.000. შეკვ. 1080.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით სააკაშვილის ფოტოეტიუდი

6101/97



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი 76178

ფასი 50 კაპ.